726 ი/8492

ახალგაზრდა კომუნისტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 23-24 (329) გამოცემის მე-17 წელი
საქართველოს საზოგადოების გამოცემა 1973 წლის დეკემბერი

რომ ქვეყნად
არ იყოს ომი,
იყოს მშვიდობა
და
სიყვარული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ინდოეთის რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები, სავსებით მოიწონეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის. ვიზიტმა, რომელმაც საბჭოთა კავშირისადმი ინდოელი ხალხის მეგობრობის მასობრივი დემონსტრაციის ვითარებაში ჩაიარა, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა, რაც ემყარება სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელმოწერილ დოკუმენტებს, რომლებიც ახალ იმპულსს აძლევენ ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის განვითარებას მათი ხალხების საკეთილდღეოდ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ დეკლარაციას. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ავითარებს სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს ორი ქვეყნის თანამშრომლობის მთავარ მიმართულებას. დეკლარაციას დიდი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირშიც და ინდოეთშიც, ვინაიდან იგი შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, წარმოადგენს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზიტის დროს ხელმოწერილ შეთანხმებას სსრ კავშირისა და ინდოეთის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთხელსაყრელი ნაყოფიერი ეკონომიური თანამშრომლობის მიმართულებას ხანგრძლივი პერიოდით. თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ნაყოფიერი სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის, ისე ეროვნული აღორძინებისა და სოციალურ გარდაქმნათა გაფართოების გზით მიმავალი ინდოეთის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მაღალ შეფასებას აძლევენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. განდის შორის საერთაშორისო საკითხებზე გამართული მოლაპარაკების შედეგებს. ამ მოლაპარაკების დროს დადასტურდა, რომ ერთმანეთს ემთხვევა მხარეების შეხედულებანი თანამედროვეობის ფართო წრის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იღვწოდნენ დაძაბულობის შენელებისათვის, რადგან მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას შეუძლია მისცეს და კიდევაც უნდა მისცეს რეალური პრაქტიკული ნაყოფი მსოფლიოს ყველა ქვეყანას — დიდ თუ პატარა, განვითარებულ თუ განვითარებადს ქვეყანას. საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა მხარი დაუჭირეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევას, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მომზადებას, აგრეთვე კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთების უსწრაფეს და სრულ ლიკვიდაციას.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ახალი ძალით გაუსვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ სამხრეთ აზიაში არსებული სადავო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას დაინტერესებული ქვეყნების მოლაპარაკების გზით, გარედან ჩაურევლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ დადებითს შედეგებს, რომლებიც მოიტანა დელში აზიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების დროს გამართულმა აზრთა ფართო გაზიარებამ. საბჭოთა კავშირი, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი აზიაშია, და აზიის დიდი სახელმწიფო — ინდოეთი ღრმად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ ამ რაიონში შეინარჩუნონ მშვიდობა და სტაბილურობა, რასაც საფუძვლად დაედება აზიის სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობა.

ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები მთლიანად და სავსებით შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ წამოყენებულ ამოცანას — ვიღვწოდეთ იმისათვის, რომ საერთაშორისო ვითარებაში მიღწეული ქეთილნაყოფიერი ცვლილებანი შეუქცევადი გახდეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტსა და მის შედეგებს ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხები, რომლებსაც იგი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად მიაჩნიათ. ეს ვიზიტი საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მრავალი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო წრეების ყურადღების ცენტრშია, მან გამოიწვია ფართო დადებითი გამოხმაურება, მოწონება და მხარდაჭერა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებს და კვლავ ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირი ივლის სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამით დასახული გზით. საბჭოთა კავშირი კვლავაც დაეყრდნობა ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან, განავითარებს ურთიერთობას ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან.



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და ინდირა განდი

მერაბ მერაბიშვილი — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, მოქანდაკე **მერაბ მერაბიშვილი** აირჩიეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ეს საბჭოთა სახვითი ხელოვნების, კერძოდ, ქართული ქანდაკების განვითარებაში მოქანდაკის დიდი წვლილის აღიარებაა.

ქართველ მეცნიერთა დამსახურების აღიარება

ფილოსოფიის განვითარებაში ქართველ მეცნიერთა წვლილის აღიარებაა ის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი **ა. ბებიაშვილი** და თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლოგიკის კათედრის დოცენტი **ლ. მჭედლიშვილი** აირჩიეს ბოლონიის (იტალია) ლოგიკისა და მეცნიერების ფილოსოფიის უმაღლესი ცენტრის წევრ-კორესპონდენტებად.

მუშაობელთა საერთაშორისო კონფერენციაზე

19-24 ნოემბერს ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის ლიტერატურის კლასიკოსების — პეტეფის, მადაჩის და ჩაიკონაის მთარგმნელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორმოცდაათზე მეტი წარმომადგენელი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა მწერლების დელეგაცია ქართველი პოეტის **ნოდარ გურეშიძის** ხელმძღვანელობით.

კონფერენცია გახსნა უნგრეთის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა **იმრე დომბოზომ.**

მოსმენილი იქნა მოხსენებები: პოეტური თარგმანის პრობლემები (მომხსენებელი ლასლო ლატორი), პეტეფის შემოქმედების პოპულარიზაცია საზღვარგარეთ და მისი ნაწარმოებების შერჩევის პრობლემები (პეტერ ბალაბანი), პეტეფისა და მადაჩის ნაწარმოებთა გავრცელება საზღვარგარეთ (დიორდ რადო), პეტეფი და მისი დროის პროგრესული ლიტერატურა (შანდორ ლუკაჩი), მადაჩი და დრამატურგიის თარგმნის პრობლემები (იკლოშ გუბაი), ჩაიკონაი და განმანათლებლური იდეები (კალმან კოვაჩი).

კონფერენციის მსვლელობისას მოეწყო „მრგვალი მაგიდა“ მხატვრული თარგმანის პრობლემებზე. კონფერენციაზე და „მრგვალ მაგიდასთან“ სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა მწერლები ნ. გურეშიძე, გ. ბაიბურინი, მ. ალიმბაევი და ლ. კამარა.

საუბრები გაიმართა აგრეთვე უნგრეთის საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოში და გამომცემლობა „უნგროპაში“, მკითხველებთან შეხვედრები მოეწყო ბუდაპეშტის კლუბებში. კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს პეტეფის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი და უნგრეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საბჭოთა კავშირ—ინგლისის კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 2-5 დეკემბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი **ა. დუგლას-ჰიუმი.** მოსკოვს გარდა მინისტრი ეწვია ლენინგრადს.

მოსკოვში ყოფნის დროს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** და ესაუბრა მას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს **ა. ა. გრომიკოსა** და დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს **ა. დუგლას-ჰიუმს** შორის გაიმართა მოლაპარაკება მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ს. პ. კოზირევი,** სსრ კავშირის ელჩი ლონდონში **ნ. მ. ლუნკოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები **ვ. პ. სუსლოვი, მ. დ. სიტენკო** და სხვები; ინგლისის მხრივ — დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე **სერ თომას ბრიმელოუ,** დიდი ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში **სერ ტერენს ჰარვი,** დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები **ჯ. ლ. ბულარდი, ა. ჯ. მ. კრეიგი** და სხვები.

საუბრები და მოლაპარაკება მეგობრულ, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს პოზიტიური ტენდენციები საერთაშორისო ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა **ევროპაში,** რომლებიც სახეზეა სხვადასხვა პოლიტიკური, **ეკონომიური** და სოციალური სახელმწიფოების მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განზრახული აქვთ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ დადებითი ტენდენციების დამკვიდრებას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც განიხილეს ჟენევაში **ევროპის** უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მეორე ეტაპზე. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ თათბირის წარმატებით დამთავრებას ჰელსინკის თათბირის პირველ ეტაპზე მოწონებული რეკომენდაციების საფუძველზე.

შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირებისა და ცენტრალურ **ევროპაში** ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ მოლაპარაკების საკითხის განხილვისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს რომელიმე მხარის უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპის დიდ მნიშვნელობას და ორივე მხარის მისწრაფებას, რომ მოლაპარაკებამ ხელი შეუწყოს უფრო მყარი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის შექმნასა და **ევროპის** მშვიდობის და უშიშროების განმტკიცებას.

განიხილეს რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიზანია მიაღწიონ სამართლიან და მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებას ამ რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 242-ე, 338-ე, 339-ე და 340-ე რეზოლუციების ყველა ნაწილის შესრულების საფუძველზე. ისინი შეთანხმდნენ ყოველი ღონე იხმარონ ამ მიზნების მისაღწევად.

მოლაპარაკების დროს გაიმართა განიარაღების, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში **გაერთიანებული** ერების **ორგანიზაციის** როლის, საზღვაო სამართლისადმი მიძღვნილი მომავალი კონფერენციის საკითხების სასარგებლო განხილვა.

მხარეებმა განიხილეს ინდოჩინეთის მდგომარეობა და დაადასტურეს, რომ საჭიროა ზუსტად შესრულდეს პარიზის შეთანხმებანი ვიეტნამში ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი გარედან ჩაურევლად.

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გაუმჯობესდა ორი ქვეყნის ურთიერთობა, და ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დონის პოლიტიკური კონტაქტებისა და კონსულტაციების განგრძობასა და გაფართოებას მართვის რეგულარული ხასიათის მისანიჭებლად.

მხარეებმა აღიარეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო ვაჭრობის განვითარებას და აღნიშნეს სხვადასხვა ფორმის ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელობა. მათ მხარი დაუჭირეს იმას, რომ უახლოეს ხანში ხელი მოაწერონ 10 წლის შეთანხმებას ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სხვადასხვა დარგში, მათ შორის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო ავიაციის დარგში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. მათ მხარი დაუჭირეს ადრეთვე კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და სხვა დარგებში ორი ქვეყნის ხალხთა კავშირურთიერთობის განვითარებას.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ 1974 წლის თებერვალში სრულდება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავი, და გამოთქვეს აზრი, რომ ეს თარიღი სათანადოდ აღინიშნოს ორივე ქვეყანაში.

ორივე მხარემ დაადასტურა მისწრაფება განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, და გამოთქვა რწმენა, რომ ამ ურთიერთობის მეგობრული ხასიათი შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ინგლისელი ხალხის ინტერესებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას, **ევროპისა** და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ა. დუგლას-ჰიუმმა ა. ა. გრომიკოს აცნობა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ე. ჰიტი** კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის ახლახან დადასტურებულ მიწვევას საბჭოთა კავშირში. **ე. ჰიტს** იმედი აქვს, რომ ამ მიწვევით ისარგებლებს 1974 წლის მანძილზე.

დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა **ა. დუგლას-ჰიუმმა** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო** მიიწვია დიდ ბრიტანეთში 1974 წელს. **ა. ა. გრომიკო** მიწვევას კმაყოფილებით დათანხმდა. ვიზიტის დრო შეთანხმებული იქნება დამატებით.

მწყობრში ჩადგა ახალი სატელევიზიო კოშკი

საქართველოს ტელემაყურებლებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს. ეთერში გაისმა ახალი სატელევიზიო კოშკის სიგნალები. კოშკის სიმაღლე ანტენითურთ 277,5 მეტრია, რაც თითქმის 90 მეტრით აღემატება წინანდელი კოშკის სიმაღლეს.

— კოშკის ძირითადი დანიშნულებაა გააუმჯობესოს გადმოსახულების ხარისხი, — განაცხადა რესპუბლიკური სატელევიზიო ცენტრის უფროსმა ვ. სალიბეგაშვილმა. — ამას ძირითადად ადგილობრივი ანტენების მაღალი განლაგებით. მაგალითად, ახალ კოშკზე თბილისის სტუდიის მეორე პროგრამის, ანუ მეექვსე არხის ანტენა 230 მეტრ სიმაღლეზეა, ე. ი. „გაიზარდა“ 190 მეტრით.

კოშკის პროექტი შექმნა კიევის „ფოლადკონსტრუქციების“ საპროექტო ინსტიტუტმა. იგი დაამონტაჟეს „სამხრეთფოლადკონსტრუქციის“ ტრესტის რუსთავის სამმართველოს სპეციალისტებმა, — აღნიშნა ტელეცენტრის მთავარმა ინჟინერმა ა. ჯაფაძემ. აქ დადგმული მთელი ანძა-ტურა საბჭოურია. ერთ-ერთ სართულზე, წრიულ კორპუსში დამონტაჟებულია რთული სისტემა „ალტაი“, რომელიც უზრუნველყოფს უშუალო რადიოსატელეფონო კავშირს მოძრავ ობიექტებთან. ამჟამიდან თბილისის სტუდიის მეორე პროგრამას ნახავენ არა მარტო თბილისში, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

ძველი კოშკი? გაისად მას დაშლიან და გორში გადაიტანენ. 1975 წლის დამლევისათვის ჩართლისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრებლები დაიჭერენ ორ სატელევიზიო პროგრამას — თბილისისა და მოსკოვის პირველ პროგრამებს.

ზღვა რომ წმინდა იყოს...

ბათუმი, 1 დეკემბერი. აქ სამ დღეს გრძელდებოდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი გაჭუჭყიანებისაგან ზღვებისა და სანაპირო ზოლების დაცვის საკითხებზე. თათბირი მოიწვიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭომ და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 145 სპეციალისტი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თანამშრომლები.

თათბირზე მოისმინეს და განიხილეს მოხსენებანი „სსრ კავშირში გაჭუჭყიანებისაგან ზღვის წყლების დაცვის მდგომარეობა და ღონისძიებანი“ და „ზღვის სანაპირო ზოლების სანიტარული მდგომარეობა და მათი დაცვის პრობლემა“, აგრეთვე **26** ინფორმაცია ამ საკითხებზე.

ბათუმის კატარღები

ბათუმის გემთსაშენებელმა ქარხანამ სრულიად საკავშირო გაერთიანება „სუდოიმპორტს“ გაუგზავნა „ვოლგა 70“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი ექვსადგილიანი სასეირნო კატარღების მორიგი პარტია.

წყალქვეშაფრთიან კატარღებზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. „ვოლგა 70“ დაცურავს მსოფლიოს 44 ქვეყნის წყლებში. ამ ქვეყნებს შორისაა ბრაზილია, კუბა, ამერიკის შეერთებული შტატები, ბანგლადეში, ერაყი, თურქეთი, ეგვიპტე, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვები. განსაკუთრებით პოპულარული გახდა „ვოლგა“ მოდერნიზაციის შემდეგ. კატარღაზე ბენზინის ძრავის ნაცვლად დაიდგა დიზელის ძრავა, რამაც შეამსუბუქა მართვა და გაზარდა გემის მანევრულობა.

შემოდგომის უკანასკნელი თვე ჩვენთან თოვლით დაიწყო და მზიანი დღეებით დამთავრდა. და აი დადგა ზამთარი. როგორ ამინდებს გვპირდება დეკემბერი?

დასავლეთ საქართველოში იგი ნორმაზე თბილი იქნება 2-3 გრადუსით — ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ და სამხრეთ მთიან რაიონებში მოსალოდნელია 8-10, დანარჩენ რაიონებში — 0-4 გრადუსი.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა იქნება პირველ ხუთდღეობაში და თვის ბოლოს; ყველაზე მაღალი — პირველი დეკადის მეორე ნახევარსა და მესამე დეკადის პირველ ნახევარში.

ნალექების თვიური ჯამი სანაპირო რაიონებში შეადგენს 60-120-მმ-ს, დანარჩენ რაიონებში — 25-50 მმ, ზოგან კი 25 მმ-ზე ნაკლებიც იქნება. ნალექების ეს რაოდენობა ნორმაზე ნაკლებია.

პირველი დეკადის პირველ ნახევარში, თვის შუა რიცხვებში და მესამე დეკადის მეორე ნახევარში მოსალოდნელია დროგამოშვებით ნალექი, ალაგ-ალაგ ნისლი, თვის დანარჩენ დროს — მცირეღრუბლიანი მშრალი ამინდი.

დაბლა ზამთარი

პირველ დეკადაში და თვის შუა რიცხვებში მოსალოდნელია დროგამოშვებით აღმოსავლეთის ქარის გაძლიერება 16-21 მეტრამდე წამში.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ანევე ნორმაზე თბილი (ოღონდ 1-2 გრადუსით) იქნება — დაბლობ რაიონებში პლუს 2-4 გრადუსი, მთიან და მაღალმთიან რაიონებში — მინუს 2, პლუს 1 გრადუსი.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველ ხუთდღეობაში და თვის ბოლოს, ხოლო ყველაზე მაღალი — პირველი დეკადის მეორე ნახევარსა და მესამე დეკადის პირველ ნახევარში.

ნალექები (ემეტესად თოვლის სახით) და ალაგ-ალაგ ნისლი მოსალოდნელია პირველი დეკადის პირველ ნახევარში, თვის შუა რიცხვებში და მესამე დეკადის მეორე ნახევარში, თვის დანარჩენ დროს კი — მცირეღრუბლიანი მშრალი ამინდი.

მ. ალექსიშვილი,
უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ქართველობა გველი სიდალე

რედაქტორის გვერდი

როგორც კი ხელი ჩამომართვა და მომესალმა, კეთილად მომესალმა, სავარძელში მოთავსდა, თვალი გამისწორა, ამოდ გამიღიმა, თან ოდნავ მორიდებით, თუმც კი ბეჯითად მომმართა.

— „ბატონოს“ წუ მეტყვით, „ბატონო“ ადამიანს ადამიანისაგან აშორებს, აგანგებს, ოფიციალობის ნირი შეაქვს ადამიანთა ურთიერთობაში, მე კი, მართალია, გადახვეწილი ქართველი ვარ, მაგრამ მაინც თანამემამულე ვარ, და ქართულ მიწაზე დაბადებულ ქართველად ვითვლები. ისიც მართალია — როცა მე თქვენს წინაალმდეგ ვიბრძოდი, თქვენ მაშინ ბავშვი იყავით, მაგრამ არც მე ვიყავი ცხოვრებით დაბრძენებული, თუ გნებავთ, დალაგებულიც. ეს ერთი, მეორე ისა, რომ სათხოვარი მაქვს — ნუ მახსენებთ თქვენს გაზეთში, ნურაფერს დასწერთ ჩემზე.

ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს კონტაქტებს და ყველაფერს ბოროტად გადაკეთებენ ხოლმე, ყველაფერი უკუღმა უნდათ წარმოიდგინონ.

— უკუღმართებში?

— უკუღმართებზე უარესები. საკმარისია მართალი და ალალი თვალით შევხედოთ დღევანდელ საქართველოს, დავინახოთ სიკეთე და ბედნიერება, რაც ქართველმა ხალხმა შექმნა და მოიპოვა თავისი გარჯით, რომ მაშინვე ათასი ჯურის ბრალდება წამოგვიყენონ.

— პროვოკატორების ეგ მეთოდი ძველია, რაც ადრეც იყო გამოყენებული.

— სიმართლეს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენს პირობებში იძულებულები ვართ მაგ პროვოკატორებს ანგარიში გავუწიოთ — ძალაც მათ ხელშია და ფულიც...

— „ბატონოს“ საკითხში შეიძლება გაგიგოთ, თუმცა ამ სიტყვამ ახალი მნიშვნელობა მიიღო და უმალ კეთილი დამოკიდებულებით განსჯილ პატივისცემას ნიშნავს, ვიდრე ხაზგასმულ ოფიციალობას, რასაც სწორედ გაგანგანება მოსდევს ხოლმე. პატივისცემა კი გაგანგანებას არ ნიშნავს, პატივისცემა ადამიანთა ურთიერთობის უპირველესი საფუძველი უნდა იყოს, მაშინაც კი, როცა ისინი სხვადასხვა მრწამსს ემსახურებიან, თანაც მტრობა და მოძულეობა დროისა და გონების სახნისით მოშლილია.

— ეტყობა, მართალი ბრძანდებით. მაგრამ მე მაინც „ამხანაგო“ ან „მეგობარო“ მირჩევნია.

— ეგ ორი სიტყვა — „ამხანაგი“ და „მეგობარი“—მიმართვის ფორმაში ზოგჯერ უფრო ოფიციალურად ჟღერს, ვიდრე კეთილად მიმართული „ბატონო“. „ამხანაგი“ და „მეგობარი“ კი ადამიანთა ურთიერთობისას მრწამსთა, ინტერესების ერთიანობის გარომხატველი სიტყვებია. ამხანაგად ჩავთვლი ისეთ ადამიანს, რომლის სახელი და გვარი შეიძლება არც ვიცოდე, მაგრამ დარწმუნებული ვიყო, რომ ის ჩემი თანამოაზრეა, ჩემს მსოფლმხედველობას იზიარებს, იდეური მრწამსით ერთნი ვართ, ერთ გზას ვადგივართ. მეგობრად კი ისეთი ადამიანი მეგულება, ვინც ამხანაგობის სამხილების გარდა, სხვა რამითაც არის ჩემთვის ახლობელი. ვისი გვარიც ვიცი, სახელიც, ასავალ-დასავალიც, წარსულიც, აწმყოცა და მომავალსაც ვხვრეტ, ვისი ავი და კარგი, დამწუხრება თუ დალხინება საკუთარ ავ-კარგობამდე იქნება ჩემში გაიგივებული ან თითქმის გაიგივებული, ვისი ტკივილი მეც მეტკინება, ვისი სიხარული მეც გამახარებს, ვისთვისაც ლუკმას არ დავიშურებ, და ვისგანაც სამაგიეროდ ყოველივე ამას უეჭველად მოველი, როგორც მეგობრობის უპირველეს საფუძველს; მაშინაც კი მოველი, როცა მოლოდინი შეიძლება არც გამომართლდეს.

— მაშ, ჩვენ შორის ამხანაგობა და მეგობრობა გამორიცხულია? რაკი მე თქვენს გვერდით არა ვარ, ამიტომ თქვენი ამხანაგი ან მეგობარი არ შეიძლება ვიყო?

— ამხანაგობა და მეგობრობა სულაც არ ნიშნავს გვერდით ყოფნას. მე შეიძლება წლების განმავლობაში ყოველდღიურად ათ-ათი საათი ვხვდებოდე ჩემს თანამოაზრე ადამიანს და ჩემი დამოკიდებულება მისადმი ამხანაგობის ჩარჩოებს არ გასცდეს. როცა მეორეს შესაძლოა ათ წელიწადში ერთხელ შეეხვედე და ჭეშმარიტ მეგობრად მიმანდეს ჭირშიც და ლხინშიც. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ როგორ შეიძლება მე და თქვენ ამხანაგები ან მეგობრები ვიყოთ, როცა თქვენ ჩემთან ურთიერთობა გეჩოთირებათ.

— არა, მე თქვენთან ურთიერთობა რომ მეჩოთირებოდეს, არც შეგხვედებოდით, ამ შეხვედრის მოსურნე და მოხარული არ ვიქნებოდი. მე კი თქვენთან შეხვედრა ისე მეწადა, როგორც ძველ მეგობართან, კეთილ მეგობართან. მე მახსოვს თქვენი ფრაზა — დაე, დადნეს ყინულიო! ამ ყინულის დადნობის მომხრე ვარ მეც და მიტომაც მინდოდა თქვენთან შეხვედრა, რამეთუ ადამიანთა შორის კონტაქტი ყოველთვის ბადებს სითბოს; ყველა სითბო თანაბარი ძალისა როდია, ეს ვიცი. მაგრამ სითბოზე წამატებულმა სითბომ შეიძლება ისეთი მცხუნვარება დაატრიალოს, რომ ვეება ყინულიც თუ არ დაადნოს სრულად, გაალღვოს მაინც. გამლღვალ ყინულს კი მომდევნო თაობები საბოლოოდ გაადნობენ და სასიცოცხლო წყლად აქცევენ, რომელსაც უდაბნოდ ქცეულ უცხოეთში მცხოვრები ყველა ქართველი ან თითქმის ყველა სიამოვნებით დაეწაფება როგორც დიდის რძეს, როგორც უკვდავების წყაროს წყალს.

— ყინულის გალღობასა და დადნობაში თქვენ მართალი ბრძანდებით, თაობებიც სწორედ ახსენეთ, მაგრამ ის თაობები, თქვენი თაობები, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულენი, რომელნიც, საწყაროდ, იშვიათად არიან ქართველნი დედითაც და მამითაც, რითაც ჰკარგავენ მშობლიურ ქართულს, უფროსი თაობისაგან ყოველთვის როდი იღებენ იმ აუცილებელ, გარდუვალ სითბოს, ესოდენ საჭირო რომ არის ხსენებული ყინულის გასალღობად, და რაც უპირველესად, მე ვიტყოდი — მხოლოდ და მხოლოდ მათთვისვეა სასიკეთო, თუ გნებავთ, მაცოცხლებელიც. თქვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელნიც დაშორდით სამშობლოს, სანუკვარ საქართველოს, და რომელთაც ჭეშმარიტად იცით თქვენეული მთა-ბარის, ველ-მინდვრის, ტყისა და წყლის ფასი, იცით თამარის, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას მადლი, გახსოვთ ალაზნის, არაგვის, ალგეთის, ლიახვის, რიონის, ცხენისწყლის, ტეხურის, ყვარილას, ენგურის შხუილი, დედა-მტკვრის დუდუნი, თბილისის სითბო, ჭუთაისის ბულვარი, ბათუმის ლაზათი, სოხუმის სიხარული, თელავის ირაკლისეული სასახლეები, სიღნაღის სილამაზე, გორისციხე, ყაზბეგის სილაღე, ოზურგეთის სიფიცხე, ზუგდიდის სტუმარმასპინძლობა, ზესტაფონელი ლამაზი ქალები, ხონის გიმნაზია, ფოთის მჩქეფარება, თქვენ, თანამემამულეთა უფროსო თაობა, საქართველოდან მეხსიერებაში შემორჩენილ დიდ მამულიშვილურ სიკეთეს გულის ცხრაკლიტულში ინახავთ, ძილსპირულ ზღაპრად ეუბნებით ახალ თაობას, ისტორიით შემორჩენილ ღვაწლს კი, ღვაწლს, რომელსაც თქვენი რწმენით საფუძველი აქვს, მაგრამ აშკარად ვნებს თქვენსავე მონაგარს, თქვენეულ საქართველოსაც, რამეთუ ჩვენეულს, საბჭოთა საქართველოს ვერას დააკლებს, იმ ღვაწლს, გულმოდგინედ, მხატვრულად, „დასაბუთებულად“, „თავგამოდებით“, „მამულიშვილურად“ ახვევთ თავს თქვენს გვერდით აღზრდილ ახალ თაობებს, რითაც მათვით ჩვენი ერი არ იცხოვრებს წარსულით. წარსულს პატივს ვცემთ, აწმყოთი ბედნიერნი ვართ, მომავალს ვეთაყვანებით! აი, საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი ამხანაგობა და მეგობრობა. უამისოდ ჩვენ არ ვიქნებოდით ქართველები, ჭეშმარიტი მამულიშვილნი და საქართველოს პატრიოტები, ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით. ეს არის ჩვენი ხალხის, საბჭოთის ძმურ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერის სასიცოცხლო დევიზი, საარსებო ლოზუნგი და ნათელი მომავლის საწინდარი.

თანამემამულემ შუბლი შეჭმუხნა, ტუჩებით ოდნავ გაიღიმა, თვალები ბეჯითად მომაპყრო და დუნედ წარმოთქვა:

— ეგ ლოზუნგები რად გინდათ? რომელ ძმობაზე ლაპარაკობთ, თქვენ ხომ... საქართველო ხომ... ქართველები ხომ...

— თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ!

— აი... არა! მე ბევრი რამ მახსოვს, კარგად მახსოვს! — ჩაიცინა და ხელები უხერხულად მოიფშვნიტა. — ვინ იცის...

— რა უნდა გვითხრათ ჩვენზე ისეთი, რაშიც ჩვენ თქვენზე უკეთ არ ვერკვევით? თქვენს სიტყვას ჩვენთვის ძალა არა აქვს, ზემოქმედების უნარი არ შესწევს, რადგან თქვენი ნათქვამი შორიდან უნიათოდ მოთვალთვალე არსების ნათქვამია, რასაც მხოლოდ ბოღმა უდევს საფუძვლად. ბოღმა კი ცუდი მეკვლეა და უმალ აბრაზებს ადამიანს, ვიდრე თვალის ჩინს მატებს.

— მაშ ყველა ერი თქვენში თანაბარი უფლებით სარგებლობს? — აღმოხდა თანამემამულეს ძნელსათქმელი, ბოღმასავით რომ აწვა გულზე. აღმოხდა და სახეზე მომაჩერდა, — რას იზამსო. სულო შემინდე, და მის თვალებში სიფრთხილეს გადაცილებული კაცის შიში ამოვიკითხე, კაცისა, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი გულის ხვაშიადი არ გაენდო და უცებ წამოსცდა ის, რასაც, მისი წარმოდგენით, მისივე დაღუპვა შეეძლო. მაგრამ რაკი დაიწყო, ბოლომდე ამოგერმანელდეს, ვრამედ დარჩეს ქართველად, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას მონაგრად, თბილისის მოტრფიალედ, ერთადერთი საქართველოს, საბჭოთა საქართველოს ღვიძლად. სხვა ინტერესი ჩვენ არა გვაქვს, ჩვენთვის თქვენგან არც ერთი არ არის ის, ურომლისოდაც ჩვენ გავიჭირდეს, გვეტკინოს. ჩვენ თქვენ სატკივარს გვინდა ვუმკურნალოთ, რამეთუ ჩვენი ნაწილი ხართ — მცირე, მაპატიეთ, გარდასული, მაგრამ მაინც ნაწილი ხართ, ჩვენი სისხლ-ხორცი ხართ. ეს უნდა იწამოთ, მერე შეგვიძლია ვიამხანაგოთ. თუმცა უამისოდაც, ამ რწმენის გარეშეც, ჩვენ თქვენ არას გავნებთ, უხეირობას არას გიქმთ, არავის ხელყოფთ, მარტოოდენ გული შეგვტკივა უქმად დახარჯულ ენერგიაზე, აქსიტყვაობაზე, რომელიც მხოლოდ მეავსიტყვიასთვისაა საზიანო და სავალალო, ჩვენთვის კი არა, მოგეხსენებათ ერთი ქართული ანდაზა „...ქარავანი მიდისო!“ ჩვენც მივდივართ ჩვენი მიზნისაკენ, საქართველოს კიდევ უფრო ამაღლებისაკენ.

— საქართველომ რომ დიდ აღმავლობას მიაღწია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ეს სამართლია და ამის დაუნახავობა სიბრმავეს ნიშნავს, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— ნაკლოვანებები, რომლებსაც თქვენვე ჰგმობთ...

— ნაკლოვანებები ყოველთვის არის აქ, სადაც საქმე კეთდება, ვინც საქმეს არას აკეთებს, იმას არც ნაკლი ექნება. ჩვენი ძალა სწორედ იმაშია, რომ ნაკლს პირდაპირ ვუყურებთ, ვაქცევართ და რევოლუციურად ვუსწორებთ თვალს და რევოლუციურად ვებრძვით. ეს არის უპირველესი ნიშანი ჩვენი ძლიერებისა და ჩვენი წინსვლისა. ავადობას მხოლოდ ის მალავს, ვინც ამ ავადობით უკურნებელია. ჭართველი ხალხი, რომელმაც თავისი მგზნებარე შემოქმედებითი შრომით და რევოლუციური გაქანებით ერთიანად გარდაჭმნა, ააყვავა თბილისი, მთელი საქართველო, მისი ეკონომიკა და კულტურა აიყვანა მაღალ დონეზე, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მოწინავე იყოს ძმათა-ძმობის საბჭოურ ოჯახში. იმათ კი, ვინც თქვენს შორის საბჭოთა საქართველოში მხოლოდ ჩრდილოვანი მხარის დანახვას ცდილობს და ღრანჭმოქცეული გული იფხანს, ავიწყდებათ, დიდი ილიასი არ იყოს, რომ „ფხანა ჭიცმა იცის“, ჭიცი კი უპირველესად ჭიანისთვისვე არის უბედურება.

— ეგეც სიმართლეა, ვინც დღევანდელ საქართველოს ნახავს, ვინც ქართველი ხალხის, ქართული ქალაქისა და სოფლის თანამედროვე ცხოვრებას წარსულის გახსენების თვალით შეხედავს, თუნდაც ჩვენი გარდახვეწის დროინდელ წარსულთან შეადარებს და არ აღიარებს იმ დიდ გამარჯვებებს, რასაც საქართველომ მიაღწია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ის ან ბუნებით იქნება ფთვალჩინო, ან ბოროტებით!

— მერედა, რას მიაღწიეს იმათ, ვინც ამ ბოროტებით იყვნენ თვალჩინწართმეულნი? რა მოიგეს იმ უნიათო და ყველასათვის, უპირველესად კი მათთვისვე უსარგებლო, მაპატიეთ, ლა... ლაპარაკით?! არაფერი — სამშობლო დაჭარგეს, უცხოეთში დაბერდნენ მამულზე ოხვრითა და გოდებით, უცხო მიწაში დაიმარხნენ, „დაფანტულ სათლავებად“ დარჩნენ ახლობელთათვის, საქართველოსთვის კი სულაც დაიკარგნენ, გაჰქრნენ.

თანამემამულის თვალებში სევდა აუთრთოლდა, არა, ბრაზი და ჯავრი კი არა, სევდა კაცური, ადამიანური, ქართველური.

წყალი მოვსვი. სიჩუმე ჩამოწვა, სიჩუმე ტკბილი. მაგრამ ბევრის მთქმელი, ბევრის მეტყველი. გული დამეწვა ჩაფიქრ-ფლილი მისი სახის შემყურეს, სული დამეხოშა მისი წილადი დამშვრალი ცხოვრებით, ჩაბინდული თვალებით, მინდობილი თქმა და ვიყიჩე. იმანაც იყიჩა. ამ მდუმარებაში იყო სინანული, სიბრალული, ტკივილი, ფიქრი, ფიქრი, ფიქრი... რომელსაც სამშობლო ერქვა სახელად.

დავდუმდით.

ბინდი ჩამოწვა.

სინათლის ანთება ორთავეს დაგვავიწყდა. სიბნელეში კი მაინც არ ვმსხდარვართ — საქართველო გვიდგა სინათლედ, ჩვენი ნეტარი საქართველო, ის გვინათებდა თვალსაც, სულსაც და გულსაც...

ჩემი თავი გამახსენდა, რუსეთში რომ ვსწავლობდი...

—შარშან, ახალი წლის იმ ღამეს, როცა ლენინგრადის გორკის თეატრში ავჩსენდი ცვალებადის „ხანუმას“ ვუყურებდი და ვხარობდი, ანტრაქტზე პირველ რიგს თვალი გადავავლე და კიდევ უფრო გავიხარე — ქართველებით იყო სავსე, გვერდითაც, ხელმარჯვნივ. ქართული ეროვნული კაცი შევნიშნე.

— ქართველი ხართ?

— დიახ, ბატონო.

ჩემი გვარი და სახელი ვუთხარი — შორიდან გიცნობთო, მერე თავისიც მითხრა.

— ფიქრაძე გახლავართ, თამაზი...

— თქვენც თბილისიდან ჩამობრძანდით?

— არა, მე აქ ვცხოვრობ, ლენინგრადის მკვიდრი ვარ...

მეორე დღეს ახალი წლის პირველი დღე იყო და მიმიწვია სახლში, სადაც თეატრში დაწყებული ნაცნობობა ქართულად გავაგრძელეთ.

(გაგრძელება მე-12 გვერდზე)

მუსიკალური სწავლების წარსულიდან



ალიოზ მიზანდარი



კონსტანტინე ალიხანოვი

მუსიკალური კულტურით საბჭოთა საქართველოს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის, რასაც საფუძვლად უდევს როგორც ქართველთა მუსიკალური ნიჭი, ისე ჩვენ მამულიშვილთა ამაგი. საქართველოში პირველი პროფესიული სამუსიკო სკოლის დაარსება თარიღდება 1874 წლით, როცა საფუძველი ჩაეყარა პირველ მუსიკალურ სკოლას, რომლის დამაარსებელნი და სულისჩამდგმელნი იყვნენ ხარლამპი სავანელი, ალიოზ მიზანდარი და კონსტანტინე ალიხანოვი.

ხარლამპი სავანელი ქართველთაგან პირველი გაემგზავრა პეტერბურგს კონსერვატორიაში განათლების მისაღებად. მას შესანიშნავი ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა და პირველ ქართველ პროფესიულ მომღერლად ითვლება. პროფესორი რეპეტო დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, მაგრამ სავანელმა არჩია დაბრუნება საქართველოში, სადაც დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის.

ალიოზ მიზანდარი იყო პირველი ქართველი პიანისტი-ვირტუოზი, იგი ითვლება ქართული პიანისტური სკოლის ფუძემდებლად.

კონსტანტინე ალიხანოვი მრავალმხრივ განათლებული კაცი ყოფილა და დიდი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონია.

სკოლას არ გააჩნდა შენობა, საჭირო საკრავები, ნოტები; მცირე იყო მოსწავლეთა რიცხვი. ამიტომაც ენთუზიასტი-დამაარსებელნი მოუწოდებენ სხვადასხვა ორგანიზაციას, საზოგადოების წარმომადგენლებსა და კერძო პირებს დახმარებისათვის. მალე შეგროვდა საჭირო თანხა, შეირჩა შენობა — ადრე საკომენდატო, დღეს გრიბოედოვის ქუჩაზე. შეიძინეს მუსიკალური საკრავები, სანოტო ბიბლიოთეკა, ინვენტარი, პიუპიტრები და... 1878 წელს გაიხსნა ვიოლინოს, ჩელოს, ფლეიტისა და კლარნეტის კლასები.

სკოლის გამგეობამ მოიწვია იმ დროის თბილისში ყველასათვის კარგად ცნობილი, პროფესიონალი პედაგოგი-პიანისტი ედუარდ ეშტეინი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ლაიფციგის კონსერვატორია და ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას ევროპის სხვადასხვა ქალაქში. 1857 წელს ეშტეინი მაშინდელ ცნობილ მომღერალ ფერზინგთან ერთად საგასტროლოდ სწვევია საქართველოს და იმდენად მოხიბლულა ჩვენი ქვეყნით, რომ სამუდამოდ დასახლებულა თბილისში.

1879 წლიდან მუსიკალური სკოლა იქცა თბილისში მუსიკალური კულტურის ამაღლების კერად — ეწყობა მუსიკალური საღამოები მიზანდარის, ალიხანოვის, ლონგოს (ვიოლინო) და მათი მოსწავლეთა მონაწილეობით.

1883 წლის 11 თებერვალი თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღია — გაიხსნა რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილება. აირჩიეს განყოფილების დირექცია — სავანელი, მიზანდარი, ალიხანოვი, პითოევი, ვასილ უორღანოვი, რომელთაც ენერგიული მუშაობა გაშალეს.

რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობამ სკოლის დირექტორად მიიწვია იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც საქართველოში 1882 წელს ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა თბილისის საოპერო თეატრს, როგორც მისი მთავარი დირიჟორი და დიდი მონდომებით იღვწოდა თბილისის სამუსიკო სკოლის სასწავლებლად გარდაქმნისათვის. მან საგრძნობი როლი შეასრულა საქართველოში რუსული მუსიკალური სკოლის დიდი ტრადიციების დანერგვის საქმეში. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის კონსერვატორია (1882) რიმსკი-კორსაკოვის კლასით და ახლოს იცნობდა ბალაკირევსა და ბოროდინს, დიდი სიმპათიით იყო განწყობილი საქართველოსადმი და შემდგომშიც, როცა მოსკოვის კონსერვატორიის რექტორად მუშაობდა (1906-1922 წწ.), მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა ქართულ მუსიკალურ კულტურას.

იპოლიტოვ-ივანოვმა შეძლო დაეინტერესებინა და ახალგაზრდა სპეციალისტები და თბილისში ჩამოიყვანა მრავალი კარგი პედაგოგი, მათ შორის თავისი მეუღლე, დიდებული საოპერო მომღერალი ვარვარა ზარუდნაია, რომელიც ამავე დროს შესანიშნავად წარმართავდა ვოკალურ კლასს, პეტერბურგელი პიანისტი ბეტინგი, რომელმაც თბილისში შექმნა ძლიერი საფორტეპიანო კლასი.

მუსიკალური სკოლა თანდათან გაძლიერებულა და 1886 წელს გადაკეთებულა სასწავლებლად, რომლის დირექტორად კვლავ დაუნიშნავთ იპოლიტოვ-ივანოვი. სასწავლებელში შემოუღიათ 13 სპეციალური და 12 სავალდებულო საგანი, თითქმის იმდენივე, რამდენიც კონსერვატორიაში.

1887 წელს პეტრე ჩაიკოვსკის რეკომენდაციით თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობამ სასწავლებელში მიიწვია ჩელოს დამკვრელი ივანე სარაჯიშვილი, რომელსაც დამთავრებული ჰქონია მოსკოვის კონსერვატორია. მასთან ერთად სასწავლებელში მოსულან კოლჩინი (ვიოლინო) და პიანისტი კესნერი.

სასწავლებლის აკადემიური დონე თანდათან მაღლდებოდა. პედაგოგებისა და მოწაფეთა ძალებით იმართებოდა საჯარო კონცერტები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვოკალური განყოფილება, რომლის წამყვანი პედაგოგები იყვნენ: სავანელი, ზარუდნაია, ევგენი რიადნოვი და სხვანი. რიადნოვის ვოკალურმა სკოლამ ქართულ ვოკალურ ხელოვნებას აღუზარდა შესანიშნავი მომღერლები: სანდრო ინაშვილი (დრამატული ბარიტონი), ოლღა ბახუტაშვილი-შულგინასი (სოპრანო) და ნიკო ჭუმბაძიშვილი (დრამატული ტენორი).

ვიოლინოს კლასს ხელმძღვანელობდა პედაგოგი ვიქტორ ვილშაუ, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის კონსერვატორია პროფესორ ივანე გრუმმალის კლასით. თბილისამდე მას ერთხანს უცხოვრია საზღვარგარეთ, უსწავლია პროფესორ ეგონ პეტრისთან და ცნობილ შევიოლინე პროფესორ იოუეფ იოახიმთან. 1896 წელს გამართულა მისი პირველი სოლო-კონცერტი თბილისში და იმავე წელს მოუწვევიათ თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგად. ამ წლიდან ცხოვრების უკანასკნელ დღემდე იგი ხელმძღვანელობდა ვიოლინოს კლასს, ნაყოფიერი პედაგოგი იყო და საქართველოს შესანიშნავი კადრები აღუზარდა, მათ შორის ცნობილი პროფესორი ლეო შიუკაშვილი, რომლის მოწაფეები არიან მსოფლიო კონკურსების ლაურეატები ლიანა ისაკაძე, რუსუდან გვასალია და სხვები.

იპოლიტოვ-ივანოვის შემდეგ მუსიკალური სასწავლებლის დირექტორთაგან აღსანიშნავია ნიკოლოზ კლენოვსკი. მას, ისევე როგორც იპოლიტოვ-ივანოვს, დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. კლენოვსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს. ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე, მოსკოვში ქართველი სტუდენტებისაგან ჩაიწერა ათეული ერთხმიანი და მრავალხმიანი სიმღერა. აქედან 5 გადაამუშავა და შეასრულებინა ეთნოგრაფიულ კონცერტზე, რომელიც მოეწყო 1893 წელს მოსკოვში. მასში მონაწილეობდნენ ოპერის სოლისტები, გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტზე ყველა სიმღერის სოლო-პარტია შეასრულა ია კარგარეთელმა.

კლენოვსკის უშუალო ხელმძღვანელობით მიიღეს მუსიკალურ-თეორიული განათლება ძმებმა ზაქარია და ივანე ფალიაშვილებმა, ზაქარია ჩხიკვაძემ, ია კარგარეთელმა, ნიკო სულხანიშვილმა და სხვებმა.

სასწავლებელს უჭირდა შენობა — პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იყო დიდი თანხა...

წარსულიდან

1891 წელს თბილისს ესტუმრა რუსული მუსიკალური საზოგადოებისა და პეტერბურგის კონსერვატორიის დამაარსებელი, ცნობილი კომპოზიტორი და ბრწყინვალე პიანისტი ანტონ რუბინშტეინი. მან დიდი ყურადღება მიაქცია სასწავლებლის მდგომარეობას; იმავე წლის 12 აგვისტოს თბილისის საოპერო თეატრში გაემართა რუბინშტეინის კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი — 2.160 მანეთი — მან გადასცა სასწავლებლის სამშენებლო ფონდს. რუბინშტეინის მაგალითს მიჰბაძეს მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, რის შედეგადაც წლების მანძილზე დაგროვდა იმდენად დიდი თანხა, რომ შესაძლებელი გახდა მშენებლობის დაწყება. შეირჩა ადგილი დღევანდელი გრიბოედოვისა და წულუკიძის ქუჩების კუთხეში, დაარსდა სამშენებლო კომისია სულხანიშვილის, ალიხანოვისა და კლენოვსკის შემადგენლობით. მშენებლობა დაიწყო 1901 წელს და ორ წელიწადში დამთავრდა, ხოლო საკონცერტო დარბაზი, რომლის მოპირკეთებას დიდი თანხა და დრო დასჭირდა, 1904 წლისათვის დასრულდა — ქართული მუსიკის ამაგდარებმა აღასრულეს თბილისელთა ოცნება.

1903 წელს სამუსიკო სასწავლებელში მიიწვიეს შესანიშნავი ქართველი პიანისტი და პედაგოგი ანა თულაშვილი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქართველი პიანისტების აღზრდის საქმეს. იგი მოღვაწეობდა ჯერ სასწავლებელში, შემდეგ კონსერვატორიაში. ანა თულაშვილმა აღზარდა მთელი პლეადა ბრწყინვალე შემსრულებლებისა და პედაგოგებისა: რ. კერერი — პიანისტების სრულიად საკავშირო კონკურსის ლაურეატი; თბილისის კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები ვანდა შიუკაშვილი, თენგიზ ამირეჯიბი, გულნარა ქავთარაძე, გივი სვანიძე, მარგალიტა ჩხეიძე, ნელი გაჩეჩილაძე და სხვანი.

მრავალმხრივი და საინტერესო პიანისტი-პედაგოგი პროფესორი ილია აისბერგი თბილისს ჩამოვიდა რიმსკი-კორსაკოვისა და გლაზუნოვის სარეკომენდაციო წერილებით. ათეული წლების მანძილზე მას დიდი და ნაყოფიერი მუსიკალურ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა აქვს ჩატარებული. მისი სკოლის გამგრძელებელია დოცენტი მადლენ ევთიშვილი.

1904 წელს სასწავლებელში მიიწვიეს ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც 1900-1903 წლებში მოსკოვის კონსერვატორიაში მეცადინეობდა. თბილისში იგი ჯერ მუსიკის ელემენტარულ თეორიას ასწავლიდა, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა გუნდს.

ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეთა ძალებით სრულდებოდა ნაწყვეტები ოპერებიდან; დირიჟორობდა ნიკოლოზ ნიკოლაევი, გუნდს ზაქარია ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა.

სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდნენ ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, გერმანელები, ჩეხები, ბერძნები, ფრანგები, იტალიელები, პოლონელები, ინგლისელები, რაც კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო ქართველი ერის ინტერნაციონალური ბუნებისა.

1916 წელს სასწავლებელში მოიწვიეს ახალგაზრდა პიანისტი ჰენრიხ ნეიჰაუზი, რომელმაც ორ წელიწადს დაჰყო თბილისში, შემდეგ კი მოსკოვის კონსერვატორიაში გადავიდა პროფესორად, თბილისს კი არ ივიწყებდა, ხშირად ჩამოდიოდა, კონცერტებით და დიდ დახმარებას უწევდა ქართველ მუსიკოსებს.

1917 წელს სამუსიკო სასწავლებლის საფუძველზე ჩამოყალიბდა თბილისის კონსერვატორია. დირექტორად დაინიშნა ნიკოლაევი, ხოლო ინსპექტორად—ზაქარია ფალიაშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის 10 იანვარს თბილისში დაარსდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომელმაც 1908 წელს ზაქარია ფალიაშვილისა და გიორგი ნატრაძის თაოსნობით ამ საზოგადოებასთან მოაწყო სამუსიკო სკოლა ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, ფალიაშვილის კონსერვატორიაში გადასვლის შემდეგ კი, 1918 წელს, სკოლას სათავეში ჩაუდგა დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც რუსეთიდან ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ მოიწვია.

დიმიტრი არაყიშვილის ჩამოსვლა საქართველოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი თაოსნობით ქართული ფილარმონიული საზოგადოება გარდაიქმნა ქართულ სამუსიკო საზოგადოებად, ხოლო საზოგადოებასთან არსებული სკოლა 1919 წელს გადაკეთდა სასწავლებლად, რომელთანაც შეიქმნა საოპერო სტუდია და საგუნდო კაპელა. 1921 წელს ეს სასწავლებელი რეორგანიზებული იქნა მეორე კონსერვატორიად, რომლის რექტორად დაინიშნა დიმიტრი არაყიშვილი. მეორე კონსერვატორიამ თავის დროზე საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ეროვნული სამუსიკო კადრების მომზადებასა და ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის საქმეში, მაგრამ დრომ მალე დაამტკიცა, რომ თბილისში ორი კონსერვატორიის არსებობა მიზანშეუწონელი იყო. ამიტომაც ეს ორი კონსერვატორია 1922 წელს გაერთიანდა, ხოლო ყოფილი სამუსიკო სასწავლებელი, რომელიც არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებლად არის ცნობილი, დღემდე განაგრძობს თავის ნაყოფიერ მუშაობას.

სასწავლებლის მთავარი ამოცანა იყო მოემზადებინა საშუალო კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც დამოუკიდებლად გაუძღვებოდნენ სამუშაოს დაწყებით სამუსიკო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ორკესტრებსა და გუნდებში, უხელმძღვანელებდნენ თვითმოქმედ საგუნდო წრეებს. ამ სასწავლებელში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი პედაგოგები — პიანისტები ელენე ჭიჭოძე (მრავალი წლის მანძილზე სასწავლებლის დირექტორი), ელენე აბელიშვილი, თამარ ჩხარტიშვილი, დოლი იოანესიანი, ელენე პოლტორაცკაია, ევგენია ჩერნიავსკაია, სავიოლინო კლასს ხელმძღვანელობდა პროფესორი დავით გროსმანი, ვიოლონჩელისტებს — გალინა კირილოვა, თეორიულ საგნებში — შალვა თაქთაქიშვილი, 1928 წლიდან კი— შალვა მშველიძე. ამ შესანიშნავმა კომპოზიტორმა და საზოგადო მოღვაწემ მრავალი წელიწადი დაჰყო სასწავლებელში და დღესაც ახალგაზრდული ენერგიით წარმართავს სწავლების კომპოზიციის კლასში.

1927 წელს სასწავლებელში დაარსდა პედაგოგთა კვარტეტი, რომელიც ყოველწლიურად რამდენიმე კონცერტს მართავდა. აქვე 1928 წლიდან ჩამოყალიბდა მოსწავლეთა კვარტეტი, რომელმაც მრავალი თვალსაჩინო მუსიკოსი აღზარდა.

1930 წლიდან სასწავლებელში ჩამოყალიბდა სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ყოველწლიურად მართავდა საჩვენებელ კონცერტს. ამ კონცერტებში ორკესტრთან ერთად მონაწილეობდნენ საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური განყოფილებების საუკეთესო მოსწავლეები. სავიოლინო განყოფილების მოსწავლეთა შორის გამოირჩეოდა პროფესორ გროსმანის მოსწავლე ირაკლი ბერიძე, რომელიც კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. წლების მანძილზე იგი მოღვაწეობდა კაიროს კონსერვატორიის რექტორად და მრავალი მუსიკოსი აღუზარდა როგორც არაბეთს, ისე სხვა ქვეყნებსაც. ირაკლი ბერიძესთან ერთად ეგვიპტეში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგები და აღზრდილები: ლუარსაბ იაშვილი, ეთერ პაპაშვილი, ელენე დვალი, ედუარდ მირზოიანი, დავით ბალანჩივაძე (მელიტონ ბალანჩივაძის შვილიშვილი) და სხვები. ამჟამად ირაკლი ბერიძე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საორკესტრო განყოფილების პროფესორი და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორია.

ოცდაათიან წლებში სასწავლებლის მოწაფეთა სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი იყო შალვა აზმაიფარაშვილი. იგი სადირიჟორო ხელოვნებას დაეუფლა პროფესორების მიხეილ ბაგრიანოვსკისა და ალექსანდრე გაუკის



ხარლამპი სავანელი მოწაფეებთან

ხელმძღვანელობით. შალვა აზმაიფარაშვილის შემდეგ სასწავლებლის ორკესტრს ხელმძღვანელობდა შალვა თაქთაქიშვილი.

სიმფონიურ ორკესტრს გარდა სასწავლებელში არსებობდა გუნდი, ანსამბლები, სამეცნიერო წრეები. წლების მანძილზე აქ ასწავლიდნენ ისეთი სპეციალისტები, რომელთა სახელები ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ: შალვა მშველიძე, შალვა ასლანიშვილი, ვლადიმერ დონაძე, შალვა თაქთაქიშვილი, შალვა აზმაიფარაშვილი, ლევან ფალიაშვილი, პავლე ხუჭუა, ვახტანგ ფალიაშვილი, გრიგოლ კოკელაძე, თამარ შავერზაშვილი და სხვები.

შემდგომ სასწავლებელში მოვიდა მთელი თაობა ახალგაზრდა პედაგოგებისა, რომლებმაც დაამთავრეს ეს სასწავლებელი, მიიღეს უმაღლესი განათლება და კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პედაგოგები ყოველწლიურად იგზავნებოდნენ მოსკოვსა და ლენინგრადში.

განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიჩინა სასწავლებელმა სამამულო ომის მძიმე წლებში. სასწავლებლის ბრიგადები მომსახურებას უწევდნენ ჰოსპიტლებს, კონცერტებს მართავდნენ სამხედრო ნაწილებში. ომის პერიოდში მოეწყო 600 კონცერტი, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები. სასწავლებელი და ცალკეული პედაგოგები დაჯილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით.

სასწავლებლის მრავალი აღზრდილი იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში სამშობლოს დასაცავად. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს გივი ლორთქიფანიძეს, რომელიც საფორტეპიანო განყოფილებიდან მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში, მერე კი ვალმოხდილი დაუბრუნდა სასწავლებელს და სწავლა განაგრძო კომპოზიციის დარგში; ამჟამად იგი სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორია.

პირველ სასწავლებელში ხდებოდა შესანიშნავი პედაგოგების თაობათა ცვლა, რომელთაც სამშობლოს აღუზარდეს მთელი პლეადა ცნობილი ქართველი მუსიკოსებისა: შალვა მშველიძე, ვანო მურადელი, სანდრო მირიანაშვილი, ალექსანდრე შავერზაშვილი, ნიკოლოზ გუდიაშვილი, არჩილ ჩიმაკაძე, შოთა მილორავა, მერი დავითაშვილი, ელეონორა ექსანიშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი. ამ სასწავლებლის კედლებშივე აიდგეს ფეხი შესანიშნავმა დირიჟორებმა ოდისეი დიმიტრიადიმ და ვახტანგ ფალიაშვილმა, ცნობილმა ხელოვნებისმცოდნეებმა, პროფესორებმა პავლე ხუჭუამ, ქეთევან თუმანიშვილმა და ბორის გულისაშვილმა...

დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს თავის აღმზრდელებს მრავალი სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ და სასწავლებლის ღირსებას იცავენ კონსერვატორიასა და სხვა სასწავლებელებში, თეატრალურ კოლექტივებსა და სიმფონიურ ორკესტრებში.

სასწავლებელმა ესტრადასაც არაერთი ნიჭიერი მსახიობი აღუზარდა. მარტო ნანი ბრეგვაძე რად ღირს!

წლების მანძილზე სასწავლებელს უძღვოდნენ კომპოზიტორები გრიგოლ კოკელაძე, ოთარ თევდორაძე, არჩილ ჩიმაკაძე, დღეს მის სათავეშია ამავე სასწავლებლის აღზრდილი კომპოზიტორი ირაკლი გეჯაძე.

თბილისის I მუსიკალური სასწავლებელი დღეს საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო დაწესებულებაა. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა საქართველოში მუსიკალური განათლების საქმელმოქმედო საწყისებზე არსებობა, დიმიტრი არაყიშვილის სახელობის თბილისის I მუსიკალური სასწავლებელი მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს. პედაგოგთა წლიური ხელფასის ფონდი შეადგენს 432.800 მანეთს, მოსწავლეთა სტიპენდიებზე გამოყოფილია 128.100 მანეთი. სასწავლებლის ინვენტარის საერთო ღირებულება შეადგენს 175.800 მანეთს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ამჟამად 13 სამუსიკო სასწავლებელი და 120 სკოლა არსებობს, ადვილად წარმოვიდგენთ იმ დიდ ზრუნვას, რაც საფუძვლად უდევს ჩვენი ახალგაზრდობის მუსიკალური განათლებით უზრუნველყოფის საქმეს.

მანანა აბაშიძე

ქართული მუსიკა აღმავლობის გზაზე

მიმდინარე წლის ნოემბრის დამლევს თბილისში ჩატარდა საქართველოს კომპოზიტორთა V ყრილობა, რომელიც მაღალდეური და მაღალმხატვრულ დონეზე მიმდინარეობდა. ყრილობასთან დაკავშირებულმა სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტებმა, საოპერო და საბალეტო სპექტაკლებმა ცხადჰყო თანამედროვე ქართული მუსიკის სანაქებო წინსვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა თაობის კომპოზიტორებმა გამოამჟღავნეს სრული პროფესიული მოწიფულობა, თანამედროვე საკომპოზიციო ხერხების თავისუფალი ფლობა და შემოქმედებითი ინდივიდუალობაც, ხელწერის თვითმყოფადობა. ამასთან, ყოველი მათგანის ნაწარმოებები აშკარად მეტყველებენ მჭიდრო კავშირზე ეროვნული მუსიკის ჯანსაღ ტრადიციებთან.

ყრილობის დღეებში გაიმართა მრავალი კონცერტი, რომელთაგან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სიმფონიური ნაწარმოებების შესრულებამ. ეს გასაგებიც არის — ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ვითარდება სწორედ ქართული სიმფონიისა და ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრები.

ბრწყინვალე წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა კომპოზიტორის გია ყანჩელის მესამე სიმფონიას. ამ ნიჭიერმა ხელოვანმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ თავისი „ადაჯიოთი“ და „ალეგროთი“. ამას მოყვა პირველი სიმფონია, რომლითაც ავტორმა საკავშირო აღიარება მოიპოვა და რაც მან თავისი მეორე სიმფონიით („საგალობელნი“) განამტკიცა. რაც შეეხება ყრილობაზე შესრულებულ მესამე, ერთნაწილიან სიმფონიას, ამით გია ყანჩელმა დაამტკიცა თავისი შემოქმედების ჭეშმარიტი ზრდა. მესამე სიმფონიაში კომპოზიტორმა გამოიყენა სვანური „ზარის“ ინტონაციები, მაგრამ ღრმად გააზრებული და ფართოდ განვითარებული როგორც მუსიკალურად, ისე აზრობრივად.

იგივე ითქმის ერთ-ერთი ჩვენი მოწინავე კომპოზიტორის სულხან ნასიძის მესამე სიმფონიაზე, რომლის ინტონაციურ წყაროს წარმოადგენს თანამედროვე საკომპოზიციო ხერხებით დამუშავებული ხევსურული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი მელოდიური და კილო-ჰარმონიული საქცევები. მუსიკალური სახეების დინამიკური განვითარება, ახალ გამომსახველ საშუალებათა გამოყენება განაპირობებს ამ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოების უდაო ღირსებებს, რაც სათანადოდ აღინიშნა მსმენელთა ფართო საზოგადოებაში.

ყრილობის კონცერტებზე წარსდგა ავრეთვე დავით თორაძე, რომლის მეორე სიმფონია შთაგონებულია ნიკორწმინდის ტაძრის დიდებულებით, მისი არქიტექტურისათვის დამახასიათებელი „ქვათა სიმფონიით“. ავრეთვე ახლებურად გადაიშალა ერთ-ერთი წამყვანი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის მომადლებული შემოქმედებითი ნიჭი. მისი მეორე სიმფონია უყურადღებას იქცევს ღრმა იდეურობით, ხალასი ემოციურობით და არტისტული ტემპერამენტით; იგი ახალი სიტყვაა როგორც ავტორის შემოქმედებაში, ისე ეროვნულ სიმფონიურ მუსიკაში.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შალვა მშველიძის № 4 სიმფონია ნათლად მოწმობს, რომ ავტორი მტკიცედ იცავს მისთვის დამახასიათებელი ეპიკური სიმფონიზმის შემოქმედებით პრინციპებს. ამავე დროს დიდი ნიჭის მქონე ეს ხელოვანი არ კმაყოფილდება მიღწეულით და განაგრძობს ახალი საკომპოზიციო ხერხების ძიებას, რის დროსაც იგი ეყრდნობა მშობლიურ მუსიკალურ ნიადაგს.

გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას დატოვებდა ნოდარ გაბუნიას პირველი სიმფონია, მისი შესრულება მხატვრულობის თვალსაზრისით სათანადო სიმაღლეზე რომ ყოფილიყო.

საკონცერტო პროგრამების გადატვირთვის გამო ყრილობის დღეებში არ შესრულებულა კომპოზიტორ ფელიქს (ფილიპე) ღლონტის მეოთხე სიმფონია, რაც გამოირჩევა აზროვნების მასშტაბურობით და საკომპოზიტორო ტექნიკის მაღალი დონით. აღსანიშნავია, რომ ფ. ღლონტის პირველმა სიმფონიამ, შესრულებულმა ბრიუსელში (დირიჟორი კ. ივანოვი), უცხოური აუდიტორიის მოწონება და დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ფ. ღლონტი ამჟამად ამთავრებს მუშაობას ოპერაზე „ანტონიუსი და კლეოპატრა“.

ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს იდეურ-მხატვრული ღირსებები ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა: ირაკლი გეჯაძის სავიოლინო კონცერტი, სულხან ცინცაძის ბრწყინვალე კონცერტი ჩოთარ თაქთაქიშვილის ორიგინალური ნაწარმოები „გურული სიმღერები“ ვოკალური ანსამბლის, საგუნდო კაპელისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. მთელი რიგი კამერული, ვოკალური და ინსტრუმენტული პიესებისა სტუმრების მიერ მოსმენილი იქნა როგორც ცოცხალი შესრულებით, ისე მაგნატოფონის ფირზე ჩაწერილი.

საოპერო და საბალეტო ჟანრები, სამწუხაროდ, არ იყო წარმოდგენილი ისეთი სისრულით, როგორც სასურველი იყო. ყრილობის დღეებში ნაჩვენები იქნა სულხან ცინცაძის ფრიად საუურადღებო ერთმოქმედებიანი ოპერა „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით და ბიძინა კვერნაძის ერთაქტიანი ბალეტი „ბერიკაობა“, რომლის დადგმით თავი ისახელა ახალგაზრდა ნიჭიერმა ბალეტმეისტერმა გიორგი ალექსიძემ. ორივე ნაწარმოები ეროვნულია თავისი ბუნებით, გამოირჩევა ელფეროვანი მუსიკალური სახეებით, კოლორიტული ორკესტრობით, რიტმულ-ჰარმონიული ნაირფეროვნებით და დახვეწილი არტისტიზმით.

დასანანია ის, რომ ყრილობის დღეებისათვის ვერ მოესწრო ახალი ქართული ოპერების დადგმა. მხედველობაში მაქვს ალექსი მაჭავარიანის ღრმა ფსიქოლოგიზმით აღსავსე ოპერა „ჰამლეტი“, ფელიქს ღლონტის მონუმენტური ოპერა „ბედი ქართლისა“ (შთაგონებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით) და პატრიოტული გრძნობით გამთბარი ოპერა „ლელა“ რევაზ ლაღიძისა.

ქართული მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის მზარდ წარმატებაზე მეტყველებს ამ ჟანრის გამოჩენილი ოსტატების — შოთა მილორავას და გიორგი ცაბაძის მუსიკა პიესებისათვის: „საბედისწერო ოპერაცია“, „სიმღერა თბილისზე“, „ჩვენი ოცნება“, „ცურკას ქორწილი“, „თოვლიანი მთების სიმღერა“ და სხვა. ამავე ჟანრში ნაყოფიერად მოღვაწეობენ: სულხან ცინცაძე („სიმღერა ტყეში“), ვაჟა აზარაშვილი („შვიდნი ძმანნი გურჯანელნი“), ბიძინა კვერნაძე („ცოლები და ქმრები“), ლილი იაშვილი („ბაბაჯანას ქოშები“) და სხვანი.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ჯერ კიდევ მეხუთე ყრილობამდე გამოვლინდა თბილისის კონსერვატორიაში აღზრდილი ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორების პლეადა, რომელნიც ჩვენი ეროვნული მუსიკის საიმედო მომავალს წარმოადგენენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: თეიმურაზ ბაკურაძე, გურამ ბზვანელი, რამაზ კემულარია, იოსებ კუჭუმაძე, ალექსანდრე რაქვიაშვილი, ედუარდ სანაძე, გიორგი ჩლაიძე, ვახტანგ ჩულუხაძე, გერმანე ჭაფარიძე, იოსებ ბარდანაშვილი, მანანა ცერცვაძე, მზია დიაკვნიშვილი და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ უოველ მათგანს ეხლავე ემჩნევა მხატვრული აზროვნების ინდივიდუალობა, ხელწერის თავისებურება, უველას მათ ერთიანებს ეროვნულობა, ტემპერამენტულობა და გაბედული მისწრაფება იდეურობითა და ემოციური შინაარსით გამართლებული ნოვატორობისაკენ.

თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა დიდ წარმატებებზე ლაპარაკი შეუძლებელია, თუ აქვე არ მოვიხსენიებთ ეროვნული მუსიკალურ-შემსრულებლო ძალები. რომელთაგან უპირველესად აღსანიშნავია ცისკროვანი ნიჭით დაჯილდოებული დირიჟორი ჯანსუღ კახიძე; მის მიერ ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დღეს საკავშირო მნიშვნელობის მხატვრულ კოლექტივად იქცა. ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი ლილე კილაძე), სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა (ხელმძღვანელი მარინე იაშვილი), სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა, საოპერო-საბალეტო და მუსიკალური კომედიის თეატრებმა, საგუნდო კაპელამ, თვითმოქმედი ხელოვნების ანსამბლებმა, სოლისტებმა—ვოკალისტებმა და ინსტრუმენტალისტებმა და ა. შ.

კონცერტების დამთავრების შემდეგ ჩატარდა კომპოზიტორთა კავშირის გაერთიანებული სხდომა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და მოძმე რესპუბლიკებიდან სტუმრად ჩამოსულმა მუსიკალურმა ძალებმა. საერთო აღიარებული აზრით, საქართველოს თანამედროვე სამუსიკო კულტურა დღეისათვის განვითარების მაღალ საფეხურზეა. მას სამართლიანად აქვს დამკვიდრებული თვალსაჩინო ადგილი თხუთმეტ საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ჩვენი ეროვნული კულტურის მძლავრი აღმავლობა უზრუნველყოფილია არა მარტო იმ ხელსაურელი პირობებით, რომლებიც დღეს შექმნილი აქვს ხელოვნების მუშაკებს, არამედ ერის სულიერი კულტურის იმ ფასდაუდებელი განძითაც, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შეჰქმნა ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, სასიმებით შემოინახა და უანგაროდ გადასცა მომავალ თაობებს.

ამედი უნდა ვიჭონიოთ, რომ ყრილობაზე ახლად არჩეული ხელმძღვანელობა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა ღირსეულად წარმართავს კომპოზიტორთა ორგანიზაციის მუშაობას შემდგომი შემოქმედებითი წარმატებებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების გზით.

პავლე ხუჭუა,

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გაგეობის პლენუმი

23 ნოემბერს გაიმართა რესპუბლიკის კომპოზიტორთა V ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ანდრია ბალანჩივაძე.**

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია მუსიკათმცოდნე **გივი ორჯონიკიძე,** მდივნებად — კომპოზიტორები **ნოდარ გაბუნია, ნოდარ მამისაშვილი, მერი დავითაშვილი.**

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია კომპოზიტორი **ირაკლი გეჯაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვიქტორია სირაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.**

დიდხანს სიცოცხლე ქართული აზრის შრ

აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე 70 წლისაა

ვიქტორ კუპრაძე ჩვენი ინტელიგენციის იმ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც სამუდამოდ ჩაწერა თავისი სახელი ქართველი ერის ისტორიაში თავისი უმწიკვლო და ნაყოფიერი მოღვაწეობით.

ვიქტორ კუპრაძე დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს სოფელ ყელაში, რკინიგზელის ოჯახში. დედას — მატრონე დარჩიას ორი კლასის განათლება ჰქონია, მამას — დიმიტრის — ოთხისა; განათლების ამგვარი დონე იმდროინდელი გლეხის ოჯახისათვის იშვიათი იყო. ოჯახი ხელმოკლეობას განიცდიდა. რაც მის წევრთა ზრდასთან ერთად უფრო საგრძნობი ხდებოდა. ოჯახს შეეძინა სამი ვაჟი და ორი ქალი — ვიქტორი სიყრმის შვილი იყო

თავიანთი ცხოვრების ძირითად მიზნად ვიქტორის მშობლებს განათლებული შვილების აღზრდა დაუსახავთ, რისთვისაც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. ვიქტორი სასკოლო ასაკისა რომ გახდა, კუპრაძეების ოჯახი ჭუთაისში დამკვიდრდა და 1911 წელს იგი სწავლას იწყებს ჭუთაისის რეალურ სასწავლებელში. სადაც მეტი ყურადღება ექცეოდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ საგნებს. მათემატიკას ასწავლიდნენ ლაზარე ხმალაძე. სპირიდონ ჯორჯიკია, ევსევი ჩიხლაძე და ივანე გაჩეჩილაძე.

ვიქტორ კუპრაძე პირველი კლასიდანვე პირველ მოწაფედ ითვლება. ყმაწვილს აღარ აკმაყოფილებდა სავალდებულო პროგრამით ცოდნის დაუფლება და ოცნების წიგნის მაღაზიაში გაშინაურებულა. ბევრი საინტერესო წიგნი შეუძენია, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, რომელთაც დიდი ინტერესითა და გატაცებით კითხულობდა და რომელთაც ხელი შეუწყეს ჭაბუკში ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევისა და, მეორე მხრივ, ფართო განათლების სურვილის გაღვივებას.

1920 წელს ვიქტორ კუპრაძე ამთავრებს ჭუთაისის რეალურ სასწავლებელს, რის გამოც მშობლები ყიდიან თავიანთ სახლ-კარს ჭუთაისში და იძენენ პატარა სახლს თბილისში, გოგოლის ჭუჩაზე.

1920 წლიდან ვიქტორ კუპრაძე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში სწავლის დაწყების დრო არ აღმოჩნდა სახარბიელო. ამ პერიოდის საერთო არასტაბილურმა ვითარებამ მათ ხელმოკლე ოჯახს არსებობა გაურთულა ჭაბუკი ვიქტორი ფიქრობს მშობლების ტვირთის შემსუბუქებას, იწყებს რეპეტიტორობას, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე მიდის ახლად შექმნილ კომკავშირის ც.კ-ში და მთავარმნელად მუშაობს. აქ მალე რწმუნდებიან, რომ კუპრაძის სახით მათ საქმე აქვთ მრავალმხრივ განათლებულ, ბეჯით და გამრჯე ახალგაზრდასთან. იმ დროს თბილისში გამოდიოდა ორი კომკავშირული გაზეთი: ქართულ ენაზე „სპარტაკი“ და რუსულ ენაზე „იუნოშესკაია პრავდა“. სწორედ ამ უკანასკნელის რედაქციაში მიიწვიეს ვიქტორი კორექტორად, მერე კი გადაიყვანეს ჯერ მდივნის, შემდეგ რედაქტორის თანამდებობაზე.

ვიქტორ კუპრაძე ისე გაიტაცა საზოგადოებრივმა საქმიანობამ, რომ უნივერსიტეტში სასწავლებლად დრო აღარ რჩება, ამიტომ იძულებულია დროებით შეწყვიტოს სწავლა, რასაც 1922 წელს განაახლებს

1928 წელს მან ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სამუშაოდ. საასისტენტო მუშაობას იგი აწარმოებს ანდრია რაზმაძესთან მათემატიკურ ანალიზში და ნიკოლოზ მუსხელიშვილთან — თეორიულ მექანიკაში. ამ მუშაობის პარალელურად ანდობენ ლექციების კითხვასაც როგორც უნივერსიტეტში, ისე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

როგორც ვთქვით, ვიქტორ კუპრაძეს ნიშნავენ „იუნოშესკაია პრავდას“ რედაქტორად, მერე — ქართული გაზეთის „სპარტაკის“ რედაქტორად, რომელსაც ვიქტორ კუპრაძის წინადადებით ეწოდა „ახალგაზრდა კომუნისტი“. მისივე წინადადებითა და თაოსნობით დაარსდა კომკავშირული თეორიული ჟურნალი „აქტივისტი“, რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა. გარდა ამისა, იგი იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე.

1930 წელს იუბილარმა დაიწყო სწავლა ლენინგრადში, საკავშირო აკადემიის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში სწავლის პირველსავე წელიწადს მან ს. სობოლევთან ერთად შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი შრომა — მათემატიკური ანგარიშით დრეკადი სხეულისა და სითხის გამყოფ სიბრტყეში აღმოჩენილ იქნა ჩანამდე უცნობი, ახალი ტიპის ზედაპირული ტალღა, რაც შეშფოთების შედეგად წარმოიშობა. ამ შედეგმა მაშინ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

ამას ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში მოჰყვა გამოკვლევათა მთელი წყება, რომელთაგან აღსანიშნავია ნაშრომები ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის შესახებ. ეს გამოკვლევები 1938 წელს აღნიშნული იყო პრემიით ახალგაზრდა მეცნიერთა საკავშირო კონკურსზე. აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი ამ გამოკვლევათა შესახებ ამბობს: „...ვიქტორ კუპრაძემ მოგვცა გადაწყვეტა დიფრაქციის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ძნელი პრობლემისა. ეს ამოცანა იდგა ასზე მეტი წელიწადია. მაგრამ მისი ზოგადი ამოხსნა ვიქტორ კუპრაძის შრომამდე არ იყო მიღებული — ჩვენ ეხლა გვაქვს ამ ძალიან ძნელი ამოცანის ძალიან მარტივი ამოხსნა“ სწორედ ეს შედეგები დაედო საფუძვლად იუბილარის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1935 წელს საკავშირო აკადემიის მათემატიკის განყოფილებაში.

ლენინგრადში ვიქტორ კუპრაძეს ასპირანტურის პირველი



კურსიდანვე ავალებენ მათემატიკის სპეციალური კურსების წაკითხვას.

1932 წელს საკავშირო აკადემიის სისტემაში შეიქმნა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დაინიშნა გამოჩენილი რუსი მათემატიკოსი ივანე ვინოგრადოვი (რომელსაც დღემდე უჭირავს ეს თანამდებობა), ხოლო სწავლულ მდივნად — ვიქტორ კუპრაძე, რომელმაც სერიოზული წვლილი შეიტანა ამ ინსტიტუტის ორგანიზაციის საქმეში. 1934 წელს ლენინგრადში მოეწყო მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობა. ამ ყრილობის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის კუპრაძემ მეტად დიდი შრომა გასწია, როგორც ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა და სარედაქციო კომისიის წევრმა. თავისი პოპულარობის მეშვეობით იუბილარი საჭიროების შემთხვევაში დიდ დახმარებასა და მფარველობას უწევს თავის თანამემამულეებს, რომლებიც იმ პერიოდში ბევრი იყვნენ რუსეთში კვალიფიკაციის მისაღებად.

1936 წელს ვიქტორ კუპრაძე ნიკოლოზ მუსხელიშვილის მოწვევით გადმოდის თბილისში, სადაც მუსხელიშვილთან და ილია ვეკუასთან ერთად აწარმოებს მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზაციას საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალში. ვიქტორ კუპრაძე ინიშნება ამ ინსტიტუტის დირექტორად, სადაც მუშაობს სამამულო ომის დაწყებამდე.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ვ. კუპრაძე იგზავნება ყირიმის ფრონტზე ერთ-ერთი საფრონტო გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. ომის მძიმე პირობებშიც, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ის მაინც არ ივიწყებს მათემატიკას. როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებდა, იწყებდა ფიქრს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა საკითხებზე, რომლებზეც ესოდენ გატაცებით მუშაობდა თბილისში.

1942 წელს ვიქტორ კუპრაძე მონაწილეობს ჭერჩის მძიმე ბრძოლებში.

1943 წელს დემობილიზაციის შემდეგ იუბილარს ნიშნავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო ნაწილში, ერთი წლის შემდეგ კი გადაჰყავთ საქართველოს განათლების მინისტრად. ამ თანამდებობაზე მან 1944-1953 წლებში იმუშავა, ხოლო 1954-1958 წლებში საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის კერის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

1943 წელს ვიქტორ კუპრაძეს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1948 წლიდან იუბილარი ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრია გარჯა, ამაგი, რაც მან ქართულ მეცნიერებასა და კულტურას მოახმარა, სრულ უფლებას აძლევდა თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი მშვიდად გაეტარებინა, მაგრამ ვიქტორ კუპრაძისათვის უცხოა შემოქმედებითი სიმშვიდე.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ მუსხელიშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა დრეკადობის ბრტყელი ამოცანების მწყობრში მათემატიკური თეორიის აგება. ამ თეორიამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი საუკუნის გამოყენებითი მათემატიკის ოქროს ფონდში. მათემატიკური დრეკადობის თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობაში იგი წარმოადგენს მთელი რიგი დარგების — მანქანათმშენებლობის, თვითმფრინავმშენებლობის, სამშენებლო საქმისა და სხვათა თეორიულ საფუძველს. ამიტომ არის, რომ მეცნიერების ამ სფეროში დღემდე მეტად ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს. კარგა ხანია, რაც დრეკადობის თეორიის ბრტყელი ანუ ორგანზომილებიანი ამოცანების პარალელურად, მეცნიერები ცდილობენ შეისწავლონ სივრცული ანუ სამგანზომილებიანი ამოცანები. როცა ამ ორი ათეული წლის წინათ ნიკოლოზ მუსხელიშვილის, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების შრომებში ორგანზომილებიანი ამოცანების თეორია არსებითად დასრულებულ იქნა, ბუნებრივია, გაშლილი ფრონტით უნდა დაწყებულიყო სამგანზომილებიანი ამოცანების მწყობრი და სისტემატური თეორიის აგება. არ შეიძლება დღეს სიამოვნებით და სიამაყის გრძნობით არ აღვნიშნოთ, რომ ეს თეორია ამ ბოლო ათეული წლის განმავლობაში აიგო სწორედ ქართული მათემატიკური სკოლის წიაღში, როგორც შემდგომი ეტაპი ამავე სკოლაში შექმნილი ორგანზომილებიანი თეორიისა. მათემატიკური მეცნიერების ეს მნიშვნელოვანი მიღწევა ეკუთვნით ვიქტორ კუპრაძესა და მის მოწაფეებს.

თავისი ნაშრომები იუბილარს თავმოყრილი აქვს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ხუთ მონოგრაფიაში, რომელთაგან ერთი გამოცემულია ლენინგრადში, ორი — მოსკოვში, ერთი — ამსტერდამში ინგლისურ ენაზე და ერთი — თბილისში. ლენინგრადსა და მოსკოვში გამოცემული მონოგრაფიები თარგმნილია ინგლისურ და გერმანულ ენებზე, გამოცემულია ლოს-ანჯელესში, ბერლინში, იერუსალიმში. თბილისში გამოცემული მონოგრაფია შესრულებულია იუბილარის მიერ თავის მოწაფეებთან ერთად (თენგიზ გეგელია, მიხეილ ბაშელეიშვილი, თენგიზ ბურჭულაძე). ამ მონოგრაფიას 1971 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია. მისი მეორე შევსებული გამოცემა ამჟამად იბეჭდება მოსკოვში.

ზოგი უცხოელი ავტორი იუბილარის მონოგრაფიებს „კლასიკურს“ უწოდებს. კუპრაძის სამეცნიერო პროდუქციის ფართო აღიარებაზე მეტყველებს ის ხშირი მიწვევაც უცხოელ მათემატიკოსთა სხვადასხვა კოლექტივის მიერ, რომელთაც იუბილარი იღებს მოხსენებებისა და ლექციების კურსის წასაკითხად.

დიდია ვიქტორ კუპრაძის დამსახურება, როგორც პედაგოგისა და სამეცნიერო კადრების აღმზრდელისა. ფართო ერუდიცია, დახვეწილი მეტყველება, ორატორული ნიჭი მიმზიდველსა და შთამბეჭდავს ხდის ვიქტორ კუპრაძის ლექციებს. მისი ენერგიული და მზრუნველი ხელმძღვანელობით საქართველოში აღიზარდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მთელი პლეადა.

1946-1953 წლებში ვიქტორ კუპრაძე არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1949-1952 წლებში — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სხვადასხვა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1954-1963 წლებში იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

1947 წელს კუპრაძე მონაწილეობს ინდოეთში გამართულ აზიის ხალხთა კონგრესზე. 1955 წელს იგი წევრია საბჭოთა კავშირის დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეათე სესიაზე.

ამჟამად ვიქტორ კუპრაძე არის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

1963 წელს კუპრაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად ჩამოყალიბებული მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, სადაც დღემდე მოღვაწეობს.

იუბილარის დიდი ამაგი სათანადოდ არის დაფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

ჩვენ ყველას გვახარებს, რომ ვიქტორ კუპრაძე თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე შეხვდა — წლების სიმრავლე ყოველთვის ხანდაზმულობას როდი ნიშნავს — შეუნელებელი ახალგაზრდული შემართება, რომლითაც იგი თავის მოწაფეებით დღემდე დაუცხრომლად იღწვის, დიდი სწრაფვა. შუქი მოჰფინოს ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცულ მათემატიკურ ამოცანებს, მაჩვენებელია იუბილარის, როგორც მეცნიერის შემართებისა და, ამავე დროს, საწინდარია მომავალი ახალი დიდი წარმატებებისა საბჭოთა მეცნიერების სადიდებლად.

გორის ხვედელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

შრომისა და ღვაწლის დიდოსტატს!

მუდამ ცხოვრების შუაგულში

მობრუნდნენო! ძველია საქართველო და თან ნორჩია, ქორფაა ამ ბროწეულის ყვავილებივით, ამ ბიჭებივით; მარადიულია სიცოცხლე ერისა და უცებ აღმოხდება აღტაცების ყიჟინა მწერალს — გზად მიმავალ მგზავრს:


— „ეჰეი, ჭინკა-ბიჭებო, ეჰეი!"

ამ მოფერების წამოძახილში, ამ ალერსში ისეთი ტრფიალია ცხოვრებისადმი, სიცოცხლისადმი, სამშობლოსადმი, რომ არ შეიძლება მან მკითხველის სული ძალუმად არ შეარხიოს.

ამ პატარა მოთხრობაშივე გარდასული ომებიც არის ნახსენები, პატარა ბიჭებში მათი წინაპრებიც ჩანან; გავა დრო და ეს პატარები თვითონ იქცევიან წინაპრებად. და შერე კვლავ მოვლენ პატარა ბიჭები, როგორც ეს ბროწეულის ყვავილები. ეს არის განჭვრეტა და გამოსახვა ხალხის ცხოვრებისა, მისი წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა.

და აი, ორიოდე დღის წინ, თავისი იუბილეს დღეებში, სერგო კლდიაშვილის დიდი ხანია შესულია იმ ეროვნულ საუნჯეში, რასაც ჩვენ ქართული საბჭოთა მწერლობის კლასიკას ვუწოდებთ. გაიხსენეთ მისი „სერაფიტა", „გორგასლის თასი", „როცა ზედაზნიდან გავცქერი" „დირბელი მოყმის ამბავი", „გამოუცნობი საიდუმლო", „დიდი სარკე ბავშვის ოთახში", „თათრის გოგო" ფატიმა" და მრავალი სხვა. ამ ნოველებში მართლაც ეჰოქალური სახეებია გამოკვეთილი, მათში ჩანს ქართული ხასიათები, გამოძერწილი სიტყვის დიდოსტატის ხელით.

თვით იმ მოთხრობებშიც, რომლებსაც ლირიკული პათოსი აქვთ, სერგო კლდიაშვილი მუდამ მებრძოლის პოზიციას იჭერს. ეს არის მწერალი, რომელსაც ერთი დიდი თემა აქვს — ბნელისა და ნათელის ბრძოლა; არ შეიძლება შეურიგდე ბნელს, ჩამორჩენილს, იმას, რაც გადმონაშთების სახით დაგვიტოვა კაპიტალიზმმა, რომელმაც საშინლად დაამახინჯა ადამიანის სული ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის



სერგო კლდიაშვილი შვილიშვილებით

საწუქარი, რომლითაც ადამიანმა არ შეიძლება არ იამაყოს. საქმე ის არის, რომ „ჭინკა ბიჭები"—ეს მშვინიერი მოთხრობა აბესაძეების უბანზე, როგორც უკვე ვთქვი, დაიწერა ომის დამთავრების წელს. მას მერე ოცდარვა წელმა გაიარა. ის პაწია აბესაძეები, მაშინ რომ დაინახა მწერალმა სოფლის გზაზე, დიდი ხალხია. დავაკვირდნენ, ოჯახის უფროსები გახდნენ, მათ დღეს გარს ახვევიან ახალი „ჭინკა-ბიჭები"... და აი, თავი მოიყარეს აბესაძეებმა, ყველამ ერთად, დიდმა, პატარამ, ფოტოსურათი გადაიღეს ერთად და მოთხრობის ავტორს გამოუზავნეს, რაც შესანიშნავი დადასტურებაა, უტყუარი დოკუმენტია იმისა, რაზეც წერალმა მოუთხრო მკითხველს ამ ათწლეული წლების წინათ.

ხალხს ისტორია — თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. რაოდენი ბოროტება შეჰკრია წინ ხალხს ამ გზაზე, რამდენი უსამართლობა, ტანჯვა და წამება გადაულახავს; რამდენჯერ აღმდგარა იგი სოციალური და ეროვნული ბორკილების დასამსხვრევად, სანამ დიდი ოქტომბერი და მისი პარმაში 21 თებერვალი სამუდამოდ დაუმკვიდრებდნენ მას თავისუფალ ცხოვრებას. სერგო კლდიაშვილი ხატავს ხალხის ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთ საგულისხმო ეპიზოდს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი სვანური მოთხრობების ციკლი („ლაშხეთის ბატონი", „ხალდე", „ასესორ შატუბის ვნებანი", „უფსკრული" და სხვ.), მწერალმა სვანეთის ისტორიას თავისი გამოადევნა შორეული წარსულიდან დღევანდელ ეპოქამდე. „უფსკრულში" უკვე სვანი პარტიზანები ჩანან, ხალხის თავისუფლებისათვის რომ იბრძვიან სამოქალაქო ომის წლებში; ამ მოთხრობაში უკვე იმ დიდი გარეჯრაჟის დასწყისი ჩანს, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო მჩაგვრელთა თარეშს და ხალხის სიმართლეს ისტორიის დიდი გზა გაუსნა.


დიდი, კეთილი გული აქვსო, სიყვარულით დაულოცნია...

სახით მშვენიერია და ბუნებით სპეტაკი, სხვისი ჭირის მოზიარე, უბადლოთა მიგებრძში... სიმართლე უყვარს, სინდის-ნამუსი გააჩნია და ქაცური ქაცია. — ამბობენ.

ნამდვილად სიმართლეს ამბობენ! მეც ვიცი, თუმცა მისი თაობისა არა ვარ. მაგრამ ვიცი რადგან თაობის ყვილა საიმედო შემოქმედისათვისაც გაუწოდებია მადლიანი ხელი თბილი სიტყვა არ დაუკლია, სწორი გზა მიუნიშნებია.

... ავიაშვილსა ნიკასა დიდი, ჯეთილი გული აქვსო... მაგრამ ეს რა სათქმელია. ქაცი კეთილი უნდა იყოს. სათქმელი ის არის. რაც მის უანგარო მოღვაწეობას ჰგვენს ნათელს. ნიკა ნიკად დარჩაო. — ამბობენ მისი ტოლები. რად უნდა შეცვლილიყო? — მიკვირს მის ნაწერებზე აღზრდილს. რაც ოცი წლისა იყო — კეთილი და პირნათელი. — ისეთივეა 70-საც. — იღიმებიან მისი სიჭაბუკის მომსწრენი. რად უნდა შეცვლილიყო? ოცისა. არ ვიცი, მაგრამ ოცი წელიწადია ვიცნობ, ვხედავ და ისევ ისეთი ღიმილიანი, უშადო, ახალგაზრდობის მოსიყვარულე, სხვისი წარმატებებით მოხარე. თავის თავზე სიტყვაძვირი ერისკაცია. სახით მშვენიერი იყოო... ჩემს ტოლ-სწორებსაც ჰკითხონ: რა სიდარბაისლე, რა სინათლე, რა ჩაუმჭრალი სხივია მის თვალებში. ვინ ვიტყვით, რომ ეს კაცი შვიდი ათეული წლისაო! მის შემხედვარეს აღარ გვაშინებს წლებმრავლობა, იმ სამოცდაათს თუ კარგისა და სიკეთის თესვით ივლი, პირშაობა როდი გაგიკარება, სიმართლეს წინ წაიძღვარებ და ჭეშმარიტების ძიებას ადამიანური ღირსებების სანთლად აინთებ, — არ დაბერდები.

თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს, სხვისი კარგი ლექსით, სხვისი გმირობით, სხვის დამსახურებათა მოგონებით ცხოვრობს, სხვებზე წერს ბევრს, კარგს, საინტერესოს. ყრმასავით იბუტება — სირცხვილია, უხერხულია, ჩემზე არაფერი დაწეროთო.



ავიაშვილსა ნიკასა...

— კი მაგრამ, როგორ აღვნიშნოთ, როგორ ვაცნობოთ თქვენს მოსიყვარულე მკითხველს თქვენი სახოგადოებრივი მოღვაწეობა; თქვენი გულით, ნათელი გონებით, გამრჯე მარჯვენით, მართალი კალმით შექმნილი ამდენი მამულიშვილური საქმე, როგორ ვამცნოთ, როგორ აღვნიშნოთ, ბატონო ნიკა, თქვენი 70 წლისთავი? არ გთქვათ, არ დაგწეროთ, რომ თუნდაც სამოცდაათი წლისთავზე გამოეცით ესოდენ კარგი თარგმანები?!

— ჰო, კარგი! — გვემორჩილება, — მაგრამ „გამომწვილი" არ დამიწეროთ, მაშინ ილია, აკაკი, ვაჟა ვიცი არიან! სახელგანთქმული არა თქვათ ჩემზე, მაშინ გალაკტიონს რომელ ეპითეტს შეურჩევთ? მე არაფრით არ გამითქვამს სახელი!

— 1941 წელს რომ გამოვიდა თქვენი წიგნი „სერვანტესის ცხოვრება", რომელსაც დღემდე კითხულობს და კვლავაც იკითხავს ქართველი მკითხველი?

— ეს სერვანტესია!

— „ალქსანდრე ნევილი"?

— ალქსანდრე ნევილია!

— „ჭაბუკები დარჩნენ მარად". — ამ წიგნმა ხომ დიდი სიყვარული მოიმკა?

— ეგ ადრე წასულთა, შინ მოუსვლელთა სიყვარულია!

— მკითხველი რომ გიცნობთ? ხალხმა უკეთ იცის, ვის სცემს პატივი, ვინ შეიყვაროს!

— ?!

უჭირს შემოდავება — სიმართლესთან დავა არ უყვარს ნიკას.

ხალხმა იცის, ვინ აღიაროს, ვინ უყვარდეს. იგი სიყვარულს არ დაპკლებს, ვისაც უანგაროდ უყვარს სამშობლო და თავისუფლ წილ აგურს ზიდავს ბედნიერი, ნათელი ცხოვრების, სოციალისტური ქვეყნის საშენებლად. ნიკა ავიაშვილის წილი აგური არის ჯალამი მადლიანი ქართული სიტყვა, ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის ზრუნვა და ერის უანგარო სამსახური, არის, იყო და იქნება.

...ვანის რაიონი დასავლეთ საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხეა და ამ შესანიშნავი მხარის ერთ-ერთ ჯოხტა სოფელში დიახაშხოში დაიბადა ნიკა ავიაშვილი. დიხა — მიწას ნიშნავს ჯოხურად. სამოსახლო ალაგს, ხარის ჩიწას ეძახდნენ წინაპრები აჭაურობას და ამ ჩიწის შვილმა ჯარგად იცის მიწის სურნელი და მისი ნაყოფის ნოყიერება. მწვანე მინდორზე ფეხშიშველასაც ბევრი ურბენია, იმიერულ „მგზავრულში" მოძახილიც უთქვამს ჯარის მეზობლის ტკივილიც გულთან მიუტანია და მართალი სიტყვის ძალა ბალღობაშივე უგრძნია. ბრძენთაგან ბრძნული უსწავლია, რეგვენის უგუნურება უგუნურებად მიუჩნევია, ავი ჯარისკაცან გაურჩევია, ცოდვა არცოდვად არ მიუღია და ცხოვრების დიდი სიბრძნე მარგალიტებად ასხმული თავის ნაწერებში. წიგნი იქნებოდა ის თუ უბრალო წერილი. გრ დაეწერა მოგონებების წიგნი შინმოუსვლელ, ადრე სულ ჯარგ ბიჭებზე, ჯარგ ჯარისკაც-პოეტებზე, გრიგალს ფიქით რომ ეწეოდნენ ძირს მიხვით რომ აკეთოდნენ ცაზე ელვად გაჩენილები რომ იწვოდნენ. სიცოცხლით რომ არ იცოდნენ და ოცი წლის გმირებს საუკუნო მხრებით მოგვაჭასო — რომ გუბუხებდნენ ლადო ასათიანზე ალექსანდრე საჯაიაზე, მირზა გელოვანზე, გიორგი ნაფიქვარიძეზე, სევერიან ინიანზე გაბრიელ ჯაბუშანურზე. 16 წლის ვაჟიკა ფხოველზე, აძმო საფლავში რომ ჩაიკანა ბაღშური ღიმილი და პოეტური ოცნებები „არ იქნება გმირთა საქმე საუკუნოდ არ გვახსოვდეს, ვინც დაეცა სამშობლოსთვის, არ მოკვდება არასოდეს!". სანგრებში სისხლით ნაწერი არ სტრიქონების გამონათებაზე დაწერა წიგნი ავიაშვილმა და მეგობრობის, ურთიერთ სიყვარულის დიდი გრძნობით ააღელვა, აღაფთო მკითხველი. „ჭაბუკები დარჩნენ მარად" ამ ბიჭებივით უკვდავი წიგნია.

განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ნიკა ავიაშვილმა როგორც მთარგმნელმა, მან პირველმა თარგმნა და ქართულად ააღორძინა შანდორ პეტრფის „სიმღერა ციცხლში". სერვანტესის რომანი „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა" დიდი რუსი მწერლების პუშკინის, ლერმონტოვის, მაიაკოვსკის, გორკის უკვდავ ქმნილებები ჯეკ ლონდონის მოთხრობები, ლევ ტოლსტოის ყვილა საბავშვო ზღაპარი და მოთხრობა, რომლებიც ცალკე წიგნებად გამოიცა, ავრეთვე მისივე „ფეხმარდი", ჯონრეი ჩუკოვსკის „ექიმი აიბოლიტი".

მარად ჭაბუკი ნიკა ავიაშვილი დღეს ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციას, გამომცემლობა „მერნის" თარგმნილი ლიტერატურის რედაქციას. მისი რედაქტორობით გამოიცა ქართულად დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის რომანი „ანა კარენინა" გუსტავ ფლობერის „სალამბო" სერვანტესის „დონ-ქიხოტის" ორი ტომი და მისივე ნაწარმოებების ოთხტომეული, დოსტოევსკის რომანები... ყინ მოსთვლის ყვილაფერს! ნიკაზე ნათქვამი სიტყვა მზით გამთბარი, სიცოცხლის სიყვარულით, პოეზიით და სიხარულით სავსე უნდა იყოს ისევე, როგორც თვითონ ეს კაცი არწივების ასაფრენი ხმით მჭახარე ლადო ასათიანზე, ლიმილმჩენ მირზა გელოვანზე ცაზე ელვად ნაფრენ ალექსანდრე საჯაიაზე. სიმღერაშეწყალტილ გიორგი ნაფიქვარიძეზე, 19 წლის მთაყრის ალექსანდრე ნევილის გმირობაზე, პრესიოზას „სარაბანდათი" ანთებულ სერვანტესზე...

ნიკა ავიაშვილს დიდი მოსიყვარულო გული აქვს. ჩადოიანი კალამი, კეთილშობილური ღიმილი. რომლითაც დილით „დილა მშვიდობის!ას" გისურვებს ღამით—„ღამე მშვიდობისას". კარგად იცის მშვიდობის ფასი ამჟამად ომგადატანილმა, იცის მშვიდობის ძალა მიგებრობაშიც მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც. მშვიდობით ეყოს ნიკას და მის მონაგარს.

კირა კვეიძე

გიორგი ნატროშვილი

გამოფენა „არგოში“



კობა გურული თავის ნამუშევარს — „მაკარიუსის პორტრეტი“ გადასცემს რესპუბლიკის პრეზიდენტს არქიეპისკოპოს მაკარიუსს მისსავე რეზიდენციაში.

— თითქოს თბილისის ძველ აეროდრომზე დავფრინდით — იყო მზე, სიმშვიდე და ირგვლივ მოტრუსული მინდვრები. მაგრამ სიმშვიდე იყო მოჩვენებითი, რადგან საბაჟოს მოხელეებთან შეხვედრამ უცებ დამარწმუნა, რომ ჩამოვედი ძალზე დაძაბული ვითარების ქვეყანაში. — დაიწყო საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან კიპროსიდან თბილისს დაბრუნებულმა კობა გურულმა, რომელსაც ადრე პერსონალური გამოფენა ჰქონდა ევროპის ქვეყნებში — უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, ამჟამად კი საბჭოთა სახვითი ხელოვნების პირველი გამოფენით წარსდგა კიპროსის რესპუბლიკაში.

გამოფენაზე წარდგენილი იყო 50-მდე ნამუშევარი, მათ შორის: „ღამით მაშვრალი“, „შენ ხარ ვენახი“, „მასპინძელი“, „ლურჯა ცხენები“, „მობრუნება“, „ძახილი მომავალში“ და სხვა.

— ირგვლივ თითქოს ნაცნობი სახეები მოზღვავებულიყო, მაგრამ ისინი ჩემთვის სრულიად გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. მე მარტო გახლდით და რამდენადმე უხერხულად ვგრძნობდი თავს. მაგრამ მალე ჩვენი აეროფლოტის წარმომადგენელი მოვიდა და ყველაფერი ისე აეწყო, რომ დაძაბულობა მყის გამიქრა.

— განაგრძო კობამ, — გამოფენა დარბაზ „არგოში“ გაიხსნა. მას ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობა და უცხოეთის საელჩოთა კულტურული ატაშეები ოჯახებით, რასაც საბაბი მისცა ამ გალერეის ტრადიციამ. ჩვენ ტრადიცია დავარღვიეთ, გამოფენაზე ნამუშევრები არ გაგვიყიდია.

მეორე დღეს მომცეს მანქანა და გამომიყვეს თანმხლები — ახალგაზრდა ბერძენი ფალოლოგი, რომელმაც საქართველოს შესახებ იცოდა იმდენად, რამდენადაც მოსკოვის უნივერსიტეტი დაემთავრებინა. მე მას გავანდე ჩემი მიზანი — წასვლისას მოვინიშნე ადგილები, სადაც ადრე ქართული კულტურის კერები ყოფილა. ეს ადგილები ძირითადად ნიქოზიიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ ზოგიერთამდე მიღწევა მაინც მოვახერხე.

ნიქოზიიდან ასორმოცდათ კილომეტრზე მთებში არის მონასტერი „კიკო“, მის მთავარ განძს, ვერცხლის ხატს წმინდა მარიამისა და ყრმის გამოსატულებით, რომლის ზომა 80×50 სანტიმეტრია, ფარავს ერეკლე მეორის მიერ 1780 წელს ნაჩუქარი აბრეშუმზე ოქრომკედით ნაქარგი წმინდა მარიამი ყრმით. საგულისხმოა, რომ მთავარი განძი შეწირულია ალექსი კომნენის მიერ. ადგილზე ვნახე ეს ხატი. მოცულობით რელიეფური ჭედურობაა და უძველეს ხის ხატზეა გადაკრული. ვნახე და მშობლიური სითბო და სიწატიფე ვიგრძენი, ხელითაც შევეხე... ეკლესიის წინამძღვარმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად ცდილობდა, ბიზანტიური ეკლესიისთვის წარსულში დაქვემდებარებული ქვეყნების დამცირებას, სცადა ჩემი გაწბილება... „ეს ნაქარგი ქართული არ არის, იგი ერთი მრავალთაგანია იმ შეწირულებებიდან, რასაც ჩვენი ეკლესია აღმოსავლეთიდან იღებდა. შესაძლოა სადმე განძსაცავში იყოს ის, რასაც თქვენ ეძებთ“, — მითხრა წინამძღვარმა.

... იგივე მელოდა სალამინშიც, სადაც ზღვის პირას ქართული ეკლესიები მდგარა. იქ ნავარქმნილი, უსახო ნანგრევების მეტი ვერაფერი ვნახე, მაგრამ იმითაც ბედნიერი ვიყავი, რომ ფეხით ვეხებოდი მიწას, სადაც ჩემი წინაპარი დადიოდა, იღვწოდა და უსამშობლოდ სამშობლოს სასიკეთოდ ირჯებოდა.

— გვიამბეთ თქვენს შეხვედრებზე ხელოვნების მუშაკებთან.

— ნიქოზიასა და პათოსში შევხვდი სამ ბერძენ მხატვარს, რომელთა მხატვრული მზერა წმინდა რეალისტურია. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი პათოსელი ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, ერთიმეორესთან ადვილად ათავსებდა რესტორნის პატრონობასა და მხატვრობას. ის დაინტერესებული იყო საბჭოთა ხელოვნებით, თუმცა მასზე წარმოდგენა თითქმის არ ჰქონდა. კიპროსის საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებამ მთხოვა მათი სურვილი გადამეცა ჩვენი საზოგადოებისათვის საქართველოში ამ მხატვრის გაცვლითი გამოფენის მოწყობაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა გავცნობოდით კიდევ ერთ საინტერესო ბერძენ მხატვარს. იქვე მთხოვეს, რომ შეძლებისამებრ ფართოდ მოგვეწყო ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტები. ამ სურვილს სახელმოხვეჭილი ანსამბლის „რეროს“ გასტროლებმა დაუდო საფუძველი.

— ზოგიერთი შთაბეჭდილება კიპროსის რესპუბლიკის შესახებ.

— მთვარიან ღამეში ვნახე ის ადგილი, სადაც ლეგენდის მიხედვით ორ უზარმაზარ ლოდს შორის აფროდიტა დაიბადა თეთრი ქაფიდან. სილამაზის ქალღმერთს მართლაც თავისი შესაფერი გარემო „შეურჩევია“! ამ სილამაზესთან თვალი ვერ ეგუება იმ სოფლებს, სადაც ახალი სახლების ნაწილი ყუმბარებით არის აფეთქებული. აი შედეგი ორი ერის ურთიერთმტრობისა, რაშიც უპირველესი ბრალი გარეშე ჩამქეზებლებს მიუძღვით.

ეკლიანი მავთულხლართები ჰყოფს თურქულ და ბერძნულ უბნებს, ტყვიამფრქევების ლულები შემოგვცქერიან ქვიშის ტომრებს იქიდან. ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები დაძაბულები დააბიჯებენ სასაზღვრო ჯიხურთან, ქუჩებში შუქჩაუმქრალი ფარებით ჩაქროლებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარის ნაწილების მოლურჯო-მონაცრისფრო მანქანები, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მშვიდობიან უბნებში თვალს იზიდავს აღმშენებლობა. უწყლობისა და წლევანდელი დიდი გვალვების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ხვალ ყუმბარამ დაანგრიოს, კიპროსელი კაცი მაინც აშენებს საშვილიშვილო სახლსა და თავის მომავალს, აშენებს ისე მკვიდრად და ისე გულმოდგინედ, რომ შეგშურდება კეთილი შურით.

წამოსვლის წინ რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიუსმა მიმიწვია პრეზიდენტის რეზიდენციაში. სამი დღის წინათ მასზე თავდასხმა მოეწყოთ რეაქციის აგენტებს. მაგრამ პრეზიდენტი გადარჩა. იგი წარმოსადეგი, გამჭრიახი გონების მქონე შუახნის კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამაღლებულ ქრისტიანულ ეთიკეტს ბეჯითად იცავს, თან რეალისტურად მოაზროვნეც არის. მოკითხვისთანავე მკითხა: წავიღებდი თუ არა უკან მის პორტრეტს, რომელიც აქ, გამოფენაზე, მქონდა, თუ მკვლელებს განზრახვა აუსრულდებოდათ!

დაუყოვნებლივ უარვყავი მისი ეჭვი, ვისაუბრეთ ხელოვნებაზე, გამოფენასა და საქართველოზე, გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.

ბერძენი მასპინძლები მეგობრობის საზოგადოებიდან ლამის ქართული სტუმართმოყვარეობით მაცილებდნენ და მთხოვდნენ, რამდენიმე დღე კიდევ დავრჩენილიყავი. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ახლად ვაჩაღებულმა ომმა ბევრი გეგმა შეცვალა, მათ შორის თვითმფრინავების მიმოსვლის განრიგიც არია და მე სამშობლოსაკენ გამოვეშურე, მადლიერების გრძნობით იმ სტუმართმოყვარე და თავისუფლებისათვის მებრძოლი, ტრადიციის დამფასებელი კიპროსელი ხალხის მიმართ.

საუბარი ჩაიწერა

ალიტა ცაგარელმა

ჭინკა-ბიჭები

ერთი უბნის მატიანე



აბესაძეები — გუშინდელი „ჭინკა-ბიჭები“ თავისი მონაგარით

ოდესღაც ამ ფერდობს გვიმრალი რქმეოდა, საბალახოდ გაშვებული ადგილი ყოფილა. სამი მხრით ტყე ერტყა. აღმოსავლეთით, გორაკის თავზე წამომდგარი ეკლესიის ქვემოთ კი, სოფელი იყო გაშლილი.

ახლა ამ გვიმრალს აბესაძეების უბანს უწოდებენ.

პირველად აქ ლაზარე დასახლებულა. ლაზარეს ხუთი ვაჟი ჰყოლია: იაკო, თედორე, პაპუნა, ალმასხანი და შოშიტა.

ოჯახი ცხოვრობდა ისლით დახურულ ქვიტკირის გრძელ სახლში, სადაც ზამთრობით პირუტყვსაც შეიხიზნებდნენ ხოლმე.

როცა დრომ მოაწია, უფროსი ბიჭები დაჭორწინებულან და თითოეულს, ქალიშვილების გარდა, ვაჟიც შესძენია: იაკოს — იროდიონი, თედორეს — ეზეკია, პაპუნას — ივანე, ალმასხანს — სპირიდონი. ბოლოს უმცროსმა შოშიტამ მოიყვანა ქალი და მომრავლებულ გვარეულობას კიდევ ორი ბიჭი შეეძინა: შალვა და როსტომი.

პაპა ლაზარემ იმდენ ხანს იცოცხლა, რომ შვილები კინაღამ სიბერეში დაეწივნენ, ხოლო შვილიშვილები მოწიფულობაში შევიდნენ. ბევრი გასაჭირის გადამტანი, მოხუცობაში მშვიდად ცხოვრობდა და მშვიდადვე მიიცვალა: წინკართან რომ საჩრდილობელი ბჟოლის ძირში გათლილი ქვა იდო, იქ ჩამომჯდარს სამუდამოდ ჩაეძინა.

მალე ეს დიდი ოჯახიც დაირღვა. ძმები გაიყარნენ და ცალკე გავიდნენ. მამისეული სახლი, წესისამებრ, უმცროსს—შოშიტას დარჩა. უფროსებმა ახალი ოდები აიშენეს, ეზოები შემორაგვეს და თავთავისთვის ვაზი ჩაყარეს... გვიმრალზე, სადაც წინათ ლაზარე ესახლა, ოთხი ახალი კერა გაღვივდა.

ასე იყო და ასე გაჩნდა აბესაძეების უბანი.

წლები გავიდა. ლაზარეს შვილიშვილებმაც იქორწინეს და მათაც ვაჟები შეემატათ: იროდიონს — აბესალომი ეზეკიას — სანდრო, ივანეს — იასონი, სპირიდონს — დავითი, შალვას — ლასია და გრიგოლი, როსტომს — ლაზარე.

ცისკრიდან სამხრობამდე, დარში თუ ავდარში, მამაკაცები ყანასა და ვენახში მუშაობენ. ხუთი სახლის სახურავიდან კვრიის კვამლი ბოლავს. ქალები შინ საქმიანობენ, პატარებს კი სადმე ეზოში თავი მოუყრიათ, კენჭობითი ერთობიან, ან სათამაშო ურიკელას აკოპიტებენ. მზე აცხუნებს, გარემო სიჩუმეში მხოლოდ ჭრიჭინების საგალობელი ისმის. მეხრებზე მიბმული ხბო თუ დაიბღავლებს ხოლმე, ან ღობეზე შემომხტარი მამალი იყივლებს.

გამოცოცხლდება უბანი საღამო ხანს, როცა მამაკაცები ყანიდან დაბრუნდებიან. ეზოებს მათი ხმა ადვიძებს. დედაკაცები ოჯახის პატრონებს თავს დასტრიალებენ და პატარებსაც საზრუნავი უჩნდებათ — ცივი წყლის მოსატანად წყაროსკენ მიტანტალებენ. მიდიან, მოიჩქარიან თამაშით, ყვირილით. თუნგულებს ავსებენ და, ბატის ჭუკებივით გაბაწრულნი, ბრუნდებიან.

დაივახშმებენ, კერიის ციცხლს ნაცარში გახვევენ და უბანი ისევ სიჩუმეში იძირება. მთვარე ცვარს აყრის მიწას, ორღობეში მუქი ჩრდილი წევს და კალიების ძილისპირული სოფლის სიმშვიდეს უნანავებს.

ამ შვიდ ბარტყს — ჭინკა-ბიჭებს, როგორც მათ ეძახდნენ, — ბუნებით დაწუნებული ბავშვობა ხანმოკლე ჰქონდათ. ბედმა ისე ინება, რომ უდარდელი წლები ერთბაშად მოსწრაფებოდათ. აღარც კენჭობია და ურიკელა, აღარც პანტის საჩრეფად ტყეში ხეტიალი, — უცბადვე წარსულად იქცა ყველაფერი.

ჭინკა-ბიჭების მამები, რუხ ფარაჯებში გადაცმულნი, შორეულ ქვეყნებში წაასხეს ვილჰელმთან საომრად, ქმრების ჩოხა-ახალუხი კი დედაკაცებმა სათუთად შეინახეს სკივრში და დაბრუნდა — ყავარჯნებზე დაყრდნობილი ირიდიონი. ის დღესაც დაბოგინობს და ცოცხალი ფეხის ნაცვლად თავისი ხელით გამთლილ მუხის კეტს მიითრევს. მეზობლების მოსაყვარულება და ყველასთან ხალისიანი შეხვედრა იცის, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირს: ვენახს სხლავს თუ ცას შეჰყურებს, მინდორშია თუ ღამით კერიას უზის, მხოლოდ ის დღეები უდგას თვალწინ, როცა ბრძოლის ველზე სიკვდილთან დაძმობილებული იყო, თითქოს სხვა არაფერი ენახა ამქვეყნად, არც ახალგაზრდობა ჰქონდა არასოდეს, არც რაიმე კეთილად მოსაგონარი.

დრო, თურმე, კეთილი მკურნალია. ყველას მაშინ მეორედ დადუმდა უბანი. ეზოებში ჩანდნენ მხოლოდ შავებში მოსილი ახალგაზრდა ქვრივები.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვინახულე სამშობლო კუთხე.

ერთ მზიან დღეს სოფელში სახეტიალოდ გავედი.

ბევრი რამ, რასაც გარშემო ვხედავდი, ჩემს შორეულ წარსულს მაგონებდა... აი, ის ძელქვა, რომლის ძირში ბავშვმა ერთხელ, წვიმის დროს, თავი შევაფარე. სულ ისეთია, როგორც ოდესღაც მინახავს, მაღალი და ტოტებგაშლილი. წლებს ოდნავადაც არ შეუცვლია... აი, ნამეხარი ბებერი ჭადარი, რომლის ტანი ძველადაც ფუღუროდ იყო ქცეული. დრო იყო აქამდისაც წაქცეულიყო, მაგრამ ის ჯიუტად ჩაბღაუჭებია მიწიდან, ამოკლაკნილ დიდ ფესვებს და ძირში ორიოდე მწვანე მორჩიც მოუსხამს... გზაჯვარედინთან ძველი ტყე გაუკაფავთ, მაგრამ ახალი ამოყრილიყო და მწვანედ ბიბინებდა...

გზას გავყევი და იმ ადგილს ჩავუარე, სადაც აბესაძეების უბანი იყო. ეზოებში სიჩუმეა, არავინ არ ჩანს. სახურავების თავზე კვამლი ამოდის და მაღლა ზანტად მიიწევს. საჩრდილობელი ბჟოლის ხის ქვეშ გათლილი ქვა იდო... სევდიანად გადავავლე თვალი უბანს და გავშორდი.

მივყევი ორღობეს და მალე წყაროს მივუახლოვდი.

შორიახლოდან ჯერ ბავშვების ხმა მომესმა და მერე თვითონ ისინიც დავინახე. ხუთი დათვალე — ჯირკუტანა, ტალიკი ბიჭები იყვნენ. ერთმანეთს წყალს აწუწებდნენ, ხარხარებდნენ და გაწუმპულნი დახტოდნენ წყაროს ირგვლივ. თამაშობით გული იჯერეს თუ არა, ავსეს თუნგულები, გაიბაწრნენ ბატის ჭუკივით და წამოტყლაპუნდნენ.

რაღაც უნაზესმა მოგონებამ გაიღვიძა ჩემში უეცრად, გადავუდექ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე:

— ვინ ხართ, ვისი ხართ, ბიჭებო?

გაკვირვებით შემომხედეს უცხოს და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამამი იყო, პასუხი არ დააყოვნა:

— აბესაძეების ვართ, ეგერ, იმ უბნიდან!

კიდევ ერთხელ შემავლეს თვალი და გაიბაწრნენ დუმილით. როცა ისინი მოსახრელთან მივიდნენ, ვეღარ მოვითმინე და ხმა დავაწიე:

— ეჰეი, ჭინკა-ბიჭებო, ეჰეი!

შეჩერდნენ, გაოცებით შემომხედეს, უცბადვე შეტრიალდნენ, აირივნენ და მხიარული კიჟინით მოკურცხლეს.

მოწყურებული, ხარბად დავეწაფე წყაროს და ისევ იმ გზით გამოვბრუნდი. ბროწეულის ყვავილების ცეცხლი მოსდებოდა ორღობეებს. გადამწიფებული ალუჩა დახუნძლულიყო ტოტებზე და იქ, სადაც ნაყოფი მიწაზე დავარდნილიყო, მაჭრის მსგავსი ტკბილი სურნელი იდგა. ჩემს ახლო შავი ავარდა ბუჩქიდან და ჭახჭახით გადმოიარა. გარშემო ჭრიჭინების დაუცხრომელი საგალობელი ისმოდა. მზე დაღვრილიყო მთელ გარემოზე.

უილიამ ალენი

1973 წლის 18 სექტემბერს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ინგლისელი ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ჩვენი ქვეყნის მეგობარი უილიამ ედუარდ დავიდ ალენი.

იგი დაიბადა 1901 წლის 6 იანვარს ლონდონში, ოლსტერის პროტესტანტული შთამომავლობის ოჯახში. განათლება მიიღო იტონის კოლეჯში. ახალგაზრდა უილიამ ალენი დაინტერესებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებით და თანამშრომლობდა ჟურნალებში „კვოტელი რივიუ“ („კვარტალური მიმოხილვა“) და „ედინბურგ რივიუ“. 1920 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „თურქები ევროპაში“ (მოკლე ისტორია).

უილიამ ალენი სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა თურქეთ-საბერძნეთის ომის დროს (1921-1922 წწ.) და მაროკოში საფრანგეთის სამხედრო ოპერაციების დროს (1925 წ.).

1922 წელს უილიამ ალენმა ცოლად შეირთო ლედი ფილის კინგი. კინგის ოჯახი ენათესავებოდა ფილოსოფოს ჯონ ლოკს, ლორდ ბაირონისა და რევოლუციონერ ულფრიდ სკოუენ ბლანტის ოჯახებს.

1929 წელს უილიამ ალენი, როგორც დასავლეთ ბელფასტის დამოუკიდებელ იუნიონისტთა პარტიის წევრი, არჩეულ იქნა ინგლისის პარლამენტის წევრად. 1931 წელს იგი გამოვიდა ამ პარტიიდან, რის შემდეგაც მეორე მსოფლიო ომამდე მოგზაურობდა და ისტორიულ კვლევა-ძიებას ეწეოდა.

უილიამ ალენს ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა საქართველო, მისი ისტორია, რის შესწავლასაც მან ხელი მოჰკიდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იმ პერიოდში იგი თურქეთში იყო როგორც ჟურნალისტი და წერდა სტატიებს თურქეთის შესახებ ინგლისის გაზეთებში. პირველ ხანებში უილიამ ალენი დაინტერესდა შავი ზღვის სანაპიროს ხალხების ისტორიით და კულტურით, ხოლო შემდეგ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლას მოჰკიდა ხელი.

1926 წელს უილიამ ალენი პირველად ესტუმრა საქართველოს და სამი თვე დარჩა აქ; 1928 წელს იგი ლაზეთს ჩავიდა. „საქართველოში ყოფნის დროს, — ამბობდა შემდგომში უილიამ ალენი, — გადავწყვიტე ინგლისელებისათვის გამეცნო ეს მეტად მდიდარი წარსული კულტურის მქონე ხალხი“. აღსანიშნავია, რომ იმხანად ინგლისურ ენაზე ამგვარი წიგნი არ არსებობდა.

1932 წელს ლონდონში გამოვიდა მისი პირველი წიგნი საქართველოს შესახებ: „ქართველი ხალხის ისტორია“, რომელმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ამ წიგნში მოცემულია ქართველი ხალხის ისტორია ბრინჯაოს ხანიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

30-იან წლებში უილიამ ალენი ახლო ურთიერთობაში იყო სამეცნიერო ჟურნალ „გეორგიკას“ (რომელიც გამოდიოდა ლონდონში 1939 წლამდე) თანამშრომლებთან (სერ ოლივერ უორდროპი, ჯონ ბედფორდი, ანდრო გუგუშვილი და სხვ.), ხოლო ინგლისელ მეცნიერ ლენგთან და სტივენსონთან ერთად ამავე ჟურნალში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიაზე. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა ექვთიმე თაყაიშვილისა და გრიგოლ წერეთლის წერილებიც.

1941 წელს გამოქვეყნდა უილიამ ალენის მეორე წიგნი — „უკრაინა: ისტორია“.

...მთამსვლელი, მონადირე, მხედარი უილიამ ალენი მეორე მსოფლიო ომის დროს ლეიბ გვარდიის ლეიტენანტი ხდება. იგი ჩადის პალესტინაში და მონაწილეობს პოლკოვნიკ ორდ უინგეიტის სამხედრო მისიაში. ეს მისია მიდის ცისფერი ნილოსისაკენ, მონაწილეობს იტალიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში და ბოლოს უერთდება იმპერატორ ჰაილე სელასიეს ნაწილებს, რომლებმაც გაანადგურეს მოწინააღმდეგის ძალები და შევიდნენ ადის-აბებაში.

1943 წელს უილიამ ალენი იწყებს დიპლომატიურ სამსახურს. იგი ჯერ იყო ბეირუთში ინგლისის საელჩოს პრესატაშე, შემდეგ მოსულში განაგებდა ინგლისის საელჩოს ინფორმაციის საკითხებს, ხოლო 1944-1949 წწ. ანკარაში იყო ინგლისის საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში. „მაშინ ვმუშაობდი წიგნზე რუსეთ-თურქეთის ომების შესახებ“ — ამბობდა შემდგომში უილიამ ალენი.

1949 წელს უილიამ ალენმა თავი დაანება დიპლომატიურ სამსახურს, დაბრუნდა თავის ქვეყანაში — ირლანდიის რესპუბლიკაში, მიიღო ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეობა და საბოლოოდ დაბინავდა თავის მამულში ქ. ვატერფორდთან ახლოს.

უილიამ ალენი აგრძელებდა მუშაობას ისტორიის დარგში. მეორე მსოფლიო ომის დროს პროფ. პ. პ. მურატოვთან ერთად მან გამოაქვეყნა ორი წიგნი: „რუსეთის სამხედრო კამპანიები 1941-1943 და 1944 1945 წწ.“. საინტერესოა მისი წიგნი „კავკასიის ბრძოლის ველი: თურქეთ-კავკასიის ფრონტების ომთა ისტორია 1828-1921 წწ“., რომელიც გამოქვეყნდა 1952 წელს.

უილიამ ალენის კალამს ეკუთვნის: „XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ორი ქართული რუკა“ (1953 წ.); „გ. დელილის „კასპიის ზღვის მეზობელი ქვეყნების 1723 წლის რუკის“ წყაროები“ (1956 წ.); „თრიალეთის თასი“ (1959 წ.); „ჰენიოხი-აეა-ჰაიასა“ (1960 წ.); „თურქეთის ხელისუფლების პრობლემები XVI საუკუნეში“ (1963 წ.), სადაც ანალიზს უკეთებს თანამედროვე საბჭოთა და თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებს ამ დარგში.

1970 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჰეკლუიტის საზოგადოების შეკვეთით გამოსცა ორტომეული „რუსეთის ელჩობანი ქართველ მეფეებთან 1589-1605 წწ“. ამ ორტომეულის შემდგენელი და რედაქტორია უილიამ ალენი; მასვე ეკუთვნის შესავალი, დამატებითი შენიშვნები, კომენტარები და ბიბლიოგრაფია.

1926 წლის შემდეგ უილიამ ალენი რამდენჯერმე იყო საქართველოში. საინტერესო იყო მისი ვიზიტი საქართველოში 1967 წლის აგვისტო-სექტემბერში. მაშინ მან საქართველოში ჩამოიტანა მეფე ერეკლე მეორის ვერცხლით მოჭედილი, ჯარგად შემონახული ცხენაჯაზმულობა (ცხენის მორთულობის ნაწილი — რახტი) და გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. ამ აჯაზმულობის ისტორიის შესახებ მაშინ უილიამ ალენმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ლარისა ხუბულურს შემდეგი განუცხადა: „ეს ნივთი შევიძინე ამ ორმოციოდე წლის წინათ პარიზში — აფხაზთა დიდგვაროვანი ოჯახის ერთ-ერთი შთამომავლისაგან, რომელმაც მითხრა, რომ მათს ოჯახს მეფე ერეკლე წინაპრად ერგებოდა და ამიტომ ეს ნივთი მათ საგვარეულო რელიკვიას წარმოადგენდა.

ჩემი ანდერძით გათვალისწინებული იყო ეს აჯაზმულობა დარჩენილიყო ბრიტანეთში, საჭურველთა მუზეუმის საგანძურში, ლონდონის ტოუერში, მაგრამ მუზეუმის საგანძურში, ლონდონის ტოუერში, მაგრამ შარშანდელმა თბილისმა, რუსთაველის დღეებმა, ქართული ისტორიული ტრადიციის მემკვიდრეობითობამ დამარწმუნა, რომ ამ რელიკვიის ჰეშმარიტი ადგილი ქართული ხელოვნების მუზეუმია.

მოხდა ისე, რომ ჩემი გადაწყვეტილება გავანდე აკადემიკოს გიორგი წერეთელს. მან მითხრა, უმჯობესია თქვენვე ჩამოიტანოთ და პირადად გადასცეთ ეს ნივთები მუზეუმსო“.

1967 წლის 28 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიის მაყურებლებმა ნახეს, თუ როგორ გადასცა ეს ნივთები უილიამ ალენმა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს და პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს.


უკანასკნელად უილიამ ალენი საქართველოში იყო 1971 წლის ზაფხულში. საქართველოში ორი უკანასკნელი მოგზაურობის დროს უილიამ ალენს ახლდა მისი ძმისშვილი რობინ ალენი, რომელიც აგრეთვე დიდი ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

ქართველი ხალხის მეგობრის, მისი წარსულისა და აწმყოს პატივისმცემლის უილიამ ალენის ხსოვნა საქართველოს ისტორიაში პატივისცემით იქნება აღნიშნული.

პროფესორი
ილია ტაბაღუა



(მარცხნიდან): აკადემიკოსები შალვა ამირანაშვილი, ირაკლი აბაშიძე, უილიამ ალენი და რობინ ალენი



ნიკოლოზ ბარათაშვილი პოლონურად

ლოძის გამომცემლობამ „ვიდავახისტვო ლუჯსკემ“ ამას წინათ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები პოლონურ ენაზე სათაურით — „ბულბული და ხმალი“. თარგმანი ეკუთვნის ცნობილ პოლონელ მთარგმნელს ლეოპოლდ ლევინს, რედაქტორია ტადეუშ ბრუშილევსკი, მხატვარი — ბარბარა პავლიკოვსკა. წიგნს დართული აქვს შესავალი წერილი, რომლის ავტორია მიხეილ ქვლივიძე.

„ბულბული და ხმალი“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა ილუმალი“, „ძია გრიგოლთან“, „ღამე ყაბახზედ“ „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას“, „საყურე“, „ჩრჩილი“, „ჩემი ლოცვა“, „აღმოჩხდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“. „არ უკიჟინო, სატრფოო“, „ვთვე ტაძარი“, „მაყვარს თვალები“, „სუმბული და მწირი“, „შენნი დალაშნი“, „რად ჰყვიდრი ჯაცსა“. „მერანი“ (აქვე მოთავსებულია ავტორის ფაქსიმილეთი „მერანის“ სამი სტროფი ქართულ ენაზე), „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სულო ბოროტო“.. „შევიშრობ ცრემლსა“..., „ომი ქართველთა ჩაჩნეთთან და დაღესტანთან 1844 წელს“, „ჩინარი“, „მადლი შენს გამჩენს“..., „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“. მეორე ნაწილი დათმობილი აქვს „ბედი ქართლისას“. წიგნის პირველ გვერდზეა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი.

ამ დღეებში ლოძში ყოფნის დროს, გადმოგვცა რა ქართველი ერიათვის ეს შესანიშნავი საჩუქარი, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელმა იგორ სიკირიცკიმ გვითხრა, რომ ამჟამად ლოძში იბეჭდება და მალე გამოვაო ქართული პოეზიის ანთოლოგია.

ჩვენ ვიყავით აგრეთვე ლოძის დიდ თეატრში, სადაც წარმატებით იდგმება ზაჭარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ („ლეგენდა გრუზინსკა“); შევხვდით თეატრის დირექტორს სტანისლავ პიოტროვსკის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლოძის ქალაქკომის მდივანს ; პროპაგანდის დარგში ეჟი ხაბელსკის. მათ აღნიშნეს ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია ოპერამ „აბესალომ და ეთერი“. განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი დირიჟორ ჯანსულ კახიძის დიდ როლს ამ სპექტაკლის წარმატებით დადგმის საქმეში. ჩვენ მოგვასმენინეს მაგნიტოფონზე „აბესალომ და ეთერის“ რეპეტიციის ჩანაწერი, რომელშიც ჯანსულ კახიძე გვევლინება როგორც მუსიკოსი და მომღერალი. ლოძის დიდი თეატრი ელოდება ქართული კულტურის მოღვაწეებს ჯანსულ კახიძის მეთაურობით.

მოხიბლული ვარ ქართული კულტურით

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ რუმინელი მწერლები: პოეტი და პროზაიკოსი დუმიტრუ მ. იონი და კრიტიკოსი და პროზაიკოსი მარჩელ პეტრიშორი. ისინი ჩვენთან ჩამოვიდნენ კეთილშობილური მისიით — მათ სურთ გაეცნონ ქართულ კულტურას და თავიანთი თანამემამულენიც აზიარონ მას. დუმიტრუ მ. იონმა რუმინულად თარგმნა ქართული პოეზიის ანთოლოგია (ანთოლოგია შეიცავს 600 გვერდს და მალე გამოვა წიგნის ბაზარზე), რითაც კიდევ ერთი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ხალხების მეგობრობის მატიანეში, ადრეულ საუკუნეებში რომ იღებს სათავეს. მარჩელ პეტრიშორს გადაწყვეტილი აქვს ქართველი კოლეგების დახმარებით შეადგინოს ქართული პროზის ანთოლოგია, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენი ხალხების უფრო მეტად დაახლოების საქმეში.

აი, რა თქვა ჩვენმა სტუმარმა:

— მე დიდად დამაინტერესა ქართულმა კულტურამ, დამაინტერესა იმდენად, რამდენადაც მან უდიდესი როლი ითამაშა ბიზანტიური კულტურის განვითარებაში. დიონისე არეოპაგელისა და იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობამ ისეთი გავლენა იქონია, რომ ამ ორი მოაზროვნის გარეშე ბიზანტიური კულტურა არ იქნებოდა ესოდენ გაბრწყინებული, ისევე როგორც დედამიწა — უმეტოდ და უმთვაროდ. თუ ამ ორი მოაზროვნის გარეშე ვერ წარმოვიდგენთ ბიზანტიურ კულტურას, იტალიურ აღორძინებას ან ევროპულ მოდერნიზმს, მითუმეტეს წარმოუდგენელია მათ გარეშე ქართული კულტურა, რომლებიც ისინი შვა.

ხშირად ლაპარაკობენ — აღმოსავლურმა რომანტიზმმა იქონიაო გავლენა რუსულ და ქართულ რომანტიზმზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ისევე მცდარი შეხედულებაა, როგორც, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ ბარათაშვილზე გავლენა იქონიეს ჰიუგომ და ჰაიდელბერგელმა. ჩვენ ამით სულაც არ ვცდილობთ დავამციროთ რომელიმე სხვა კულტურა, მაგრამ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბევრი მნიშვნელოვანი იდეის საწყისი ქართული სული იყო. იოანე პეტრიწისა და დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობა დღესაც თანამედროვეა და საინტერესო. პირადად ჩემთვის კი ეს არის ფილოსოფიური აზროვნების კულმინაცია.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა პოეზიამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოეზია მსოფლიო პოეტური აზროვნების მწვერვალია. არც ერთი ქვეყნის ძველი პოეზია არ ჟღერს ისე თანამედროვედ, როგორც ქართული; ესეც მეტყველებს ქართული აზროვნების სიდიადეზე. მე მოხიბლული ვარ რუსთაველითა და ბარათაშვილით, არცერთ კულტურულ ქვეყანას არა ჰყავს რომანტიზმის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც ბარათაშვილია. ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც საცაა გამოვა რუმინეთში ჩემი წინასიტყვაობით, მოიცავს ქართული პოეზიის წარმომადგენლებს, დაწყებული შავთელიდან და ლია სტურუათი დამთავრებული.

ანთოლოგია მთლიანად თარგმნა პოეტმა დუმიტრუ მ. იონიმ, რომელმაც პირველად ფრანგულ ენაზე წაიკითხა რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსი, რომლებმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ეს იყო მისთვის რაღაც ახალი, დიდი სამყაროს აღმოჩენა. მან გადაწყვიტა ეთარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები რუმინულ ენაზე, რათა მისი თანამემამულენიც გასცნობოდნენ ამ შესანიშნავ პოეზიას. ანთოლოგია გამოდის დიდი ტირაჟით, რუმინეთის ყველაზე დიდ გამომცემლობაში.

მე კი ამჟამად, როგორც პროზაიკოსს, მაინტერესებს ქართული თანამედროვე პროზის პრობლემები და განსწრასული მაქვს ქართული პროზის ანთოლოგიის გამოცემა.

მარჩელ პეტრიშორი

იალბუზზე ფეხი შედგა...

ჩვენში ფართოდ აღინიშნა საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავი. მამაცთა სპორტის წარმომადგენლებმა ზეიმი გადაიხადეს საქართველოს მიწა-წყალზე — საბჭოთა ალპინიზმის აკვანი ხომ ჩვენს რესპუბლიკაში დაირწა. საიუბილეო პლენუმის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში გაიმართა ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეა.

მთამსვლელთა ეს დიდი ფორუმი პირველად მოაწყეს საბჭოთა კავშირში და რაკი მასპინძლები ჩვენ ვიყავით, ფაქტი ქართველ მთამსვლელთა დამსახურების კიდევ ერთ აღიარებად უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ამგვარი დაფასება სპორტის მოყვარულთა გულებს კანონიერი სიამაყის გრძნობით ალავსებს. კლდეებთან შეჭიდებულ ადამიანებს გინდა კიდევ ერთხელ უთხრა მადლობა, ქედი მოიხარო იმ ვაჟკაცთა ხსოვნის წინაშე, მიუვალ მწვერვალის დაპყრობას სიცოცხლე რომ შესწირეს...

ჩვენი კორესპონდენტი საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმის დღეებში შეხვდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარეს, სხრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სხრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ გიბინეიშვილს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

— გთხოვთ ოქროდა სიტყვით დაგვიხასიათოთ ქართული ალპინიზმის პირველი ნაბიჯები, რით მოვიპოვეთ პრიორიტეტი ჩვენს ქვეყანაში?

— ეს იყო 1923 წელს. გიორგი ნიკოლაძის ჯგუფმა მყინვარწვერი დალაშქრა — წითელი ალამი პირველად აფრიალდა ჭაღარა კავკასიონის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე. ამის შემდეგ გამოთქმა — „პირველად საბჭოთა კავშირში“ მრავალგზის იქნა ნახმარი ქართველ მთამსვლელთა მიმართ. მაგალითად, 1934 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოეწყო საბჭოთა მთამსვლელთა პირველი ასვლა უშბაზე. სწორედ ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა ჩვენი სახელოვანი მთამსვლელი ქალიც ალექსანდრა ჯაფარიძე; ეგრეთ წოდებული „კედლებით ასვლები“, რაც დღეს ესოდენ პოპულარულია, საბჭოთა მთამსვლელთა შორის პირველად 1937 წელს გაბრიელ ხერგიანმა განახორციელა უშბის დაპყრობის დროს, ხოლო როცა ქართველმა მთამსვლელებმა მაქსიმე გვარლიანის ხელმძღვანელობით 1954 წელს „ენგელსის პიკი“ სამხრეთის კედლით დალაშქრეს, იგი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი სასიმაღლო ასვლა კედლით. და ბოლოს, ქართველ ალპინისტთა ტრავერსები ალიოშა ჯაფარიძისა და ივანე მარის ხელმძღვანელობით 1939 და 1950 წლებში თავიანთი სირთულით და ხასიათით პირველი იყო ჩვენს ქვეყანაში... აი რატომ ამბობენ, რომ საბჭოთა ალპინიზმს ფუძე საქართველოში ჩაეყარაო, რატომ გაიმართა თბილისში და არა სხვაგან საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, რატომ ვმასპინძლობდით თბილისში ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის გენერალურ ასამბლეას, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთამსვლელები შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, იაპონიიდან, ირანიდან...

ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარემ, შვეიცარიელმა პროფესორმა ულ ჟუჟამაც ხომ ასე განაცხადა — ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეწვიეთ საქართველოს, ვიცით, საბჭოთა ალპინიზმის აკვანი სწორედ აქ დაირწაო...

—საბჭოთა ალპინიზმის აკვანი ჩვენში რომ დაირწა, ამის „მიზეზი“ ალბათ ქართველი კაცისა და მთის განუყოფელი მეგობრობა გახლავთ.

— რა თქმა უნდა, მთა გვიფარავდა და გვინახავდა ავბედობის დროს, მთებში გამოთხრილ, ძნელად მისადგომ გამოქვაბულებს, ვინ მოთვლის, რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია, რამდენჯერ დაუფარავს ხელყოფისაგან ერის ავლა-დიდება. მშვიდობიან დროსაც ბევრი როდი ტოვებდა მთას, საზრდოსაც შოულობდა იქ და ვაჟკაცისათვის საფერო ცხოვრებითაც ცხოვრობდა. მთა ხომ მუხლმოუხრელ მონადირეთა ასპარეზიც იყო. აი რატომ არის, რომ თავის ლექსებსა და სიმღერებში ქართველი კაცი ესოდენ გატაცებით უმღერის უინულგვირგვინით შემკულ მთებს...

— რით აღნიშნეს ქართველმა მთამსვლელებმა საიუბილეო წელიწადი?

— სანამ წლევანდელ მიღწევებზე ვიტყოდე რამეს, მინდა ვთქვა, რომ ქართველ მთამსვლელებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის რამდენიმე ათეული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული. მათ ოსტატობასა და შემართებას პატივს სცემენ ბევრ ქვეყანაში, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესო, „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანის სახელი მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი...

რაც შეეხება საიუბილეო წელიწადის მიღწევებს, იგი ურიგო როდია. ტრავერსი, რომელიც გივი წერედიანის ჯგუფმა განახორციელა ალიოშა ჯაფარიძის მწვერვალიდან თეთნულდამდე, ვერცხლის მედლით აღინიშნა. 17 დღეღამის განმავლობაში ქართველმა ალპინისტებმა კავკასიონის მთავარი ქედის თხემით 30 კილომეტრი გაიარეს და დაიპყრეს ისეთი ძნელად მისადგომი მწვერვალები, როგორიც არის აილამა, ნამუყვამი, შხარა, ჯანღა, თეთნულდი...

ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი შოთა მირიანაშვილი) პამირის ერთ-ერთ უმაღლეს — კორუენევსკაიას სახელობის მწვერვალზე ავიდა კედლით და მესამე სპრინზო ადგილი დაისაკუთრა.

კლდეზე ცოცვაშიც ქართველ სპორტსმენთა წარმატება ბრინჯაოს მედლებით აღინიშნა.

— სპორტის უველა სახეობას თავისი სილამაზე და მომხიბვლელობა აქვს, რით გამოირჩევა სხვებისაგან ალპინიზმი?

შეიძლება ითქვას, რომ ალპინიზმი ყველაზე ღარიბია მაყურებელთა დასწრების მხრივ, და მაინც ახალგაზრდებს იტაცებს სპორტის ეს სახეობა. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მთებში სალაშქროდ, გეტყვით, ალპინიზმი ულამაზესი და ყველაზე საინტერესო სპორტიაო. რითი შეიძლება აიხსნას მთებს შეჭიდებულ ადამიანთა ესეთი ენთუზიაზმი, გატაცება? მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ალპინიზმი მამაცთა სპორტია, მამაცმა ადამიანებმა კი მეგობრობაც და სიყვარულიც განსაკუთრებული იციან. იქ, მაღალი მწვერვალების დაპყრობის დროს, მეგობრის ძლიერი მარჯვენა, როგორც არასდ, ისეა საჭირო... ხიფათი ყოველ ნაბიჯზე გდარაჯობს, მაგრამ მეგობარი გიცავს, ყინვა ძვალ-რბილში გატანს, მეგობარი გათბობს, გშია და მეგობარი საკუთარ ლუკმას გაგიყოფს... და თუ მაინც უბედურება თავს დაგატყდება, მეგობარი მზად არის თვით სიცოცხლეც კი განაცვალოს...




ამ გზით დაიპყრეს ქართველმა მთამსვლელებმა კორჟენევსკაიას სახელობის მწვერვალი





აი, როგორია ალპინიზმი



ალპინიზმისადმი მიძღვნილ საგამოფენო დარბაზში

მეგობართა მაჯჩი

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩი სპორტის მოყვარულთა შორის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

ეს გასაგებიც არის — მათში მსოფლიოს სახელის მქონე მოჭადრაკეები მონაწილეობენ. წლეულს მეგობართა ეს შეხვედრა თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. იუგოსლავიიდან საქართველოში ჩამოვიდნენ გლიგორიჩი, ივკოვი, მატულოვიჩი, პარმა, ველიმიროვიჩი, რუკავინა, ივანოვიჩი, ჟივკოვიჩი, კონარკოვსკაია-სოკოლოვა, კალბრენერი, მარიანოვიჩი, მილოვანოვიჩი, ჯურიჩი, საბჭოთა კავშირის ნაკრების დირსებას იცავდნენ: პეტროსიანი, გელერი, კუზმინი, ტაიმანოვი, ვასიუკოვი, ვაჰანიანი, შული, პანჩენკო, მიხაილჩიშინი, მაჩულსკი, ჯინჯიხაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და 12 წლის მაია ჩიბურდანიძე. ჩვენმა მოჭადრაკეებმა თავიანთ კაპიტნად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** აირჩიეს. ოთხდღიანი ბრძოლა საბჭოთა მოჭადრაკეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა — 31:15.

ამ ტურნირის აღმოჩენა გახლდათ პატარა მაია. იგი ოთხჯერ შეხვდა თავის მეტოქეს, იუგოსლავიის ჩემპიონს კალბრენერს და ოთხივე პარტია მოუგო

აი რა თქვეს ნორჩ მოჭადრაკეზე მისმა უფროსმა კოლეგებმა:

სვეტოზარ გლიგორიჩი: 12 წლის ასაკში ესეთნაირად მოთამაშე გოგონა კი არა, ბიჭიც არსად მეგულება. თქმა არ უნდა, მაიას დიდი მომავალი აქვს.


ბორისლავ ივკოვი: ვინმეს მატჩამდე რომ ეთქვა, ჩვენი საერთაშორისო ოსტატი ვლასტა კალბრენერი ვერაფერს გახდებაო 12 წლის გოგონასთან, ცხადია, ამას არავინ დაიჯერებდა. ეხლა უკვე გარკვევით შეიძლება ვთქვათ, რომ მაია ჩიბურდანიძე უნიჭიერესი შოჭადრაკეა, თუ გნებავთ, „ქალთა ფიშერიც“.

ტიგრან პეტროსიანი: მაია ჩიბურდანიძეზე ყველაზე კარგად შედეგები მეტყველებენ.

ნონა გაფრინდაშვილი: მაია ფრიად ნიჭიერი გოგონაა, მან სავსებით დაიმსახურა ეხლანდელი დიდი წარმატება




მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მსოფლიოს ქალთა ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი



მიმდინარეობს მეგობართა მატჩი

მალხაზ დათიკაშვილისა და სერგო ედიშერაშვილის ფოტოები

ხელ ფრე...



კაპიტნები

ამგავმა, რომ უეფას თასის მეორეფინალში თბილისის „დინამო“ ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ ხვდებოდა, ფეხბურთის მოყვარულთ აამა — ღირსეულ მეტოქეთა შეხვედრა ყოველთვის ხასიამოვნო სურვილია. სპორტული მიმომხილველები, ჩვენში თუ ფეხბურთის სამშობლოში, ერთხმად აღნიშნავდნენ: მეტოქეები რომ დაახლოებით ერთნაირი ძალისანი არიან და უმაღლესი კატეგორიის გუნდებს მიეკუთვნებიან, ორთაბრძოლაში გაიმარჯვებს ის, ვინც ნებისყოფის მეტ სიმტკიცესა და მონდომებას გამოიჩენსო...

პირველი მატჩი 28 ნოემბერს გაიმართა თბილისში. ამინდი მართლაც საფეხბურთო იყო — შემოდგომის მზე უხვად აფრქვევდა ხხივებს ჩვენს დედაქალაქს. მოწინააღმდეგეები მოედანზე შემდეგი შემადგენლობებით გამოვიდნენ: „ტოტენჰემი“ — ჯენინგსი, ევანსი, ნოუელსი, პრატი, ინგლენდი, ბილი, ნეილორი, პერიმანი, ჩივერსი, პიტერსი, კოუნტი. თბილისის „დინამო“— გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჰელიძე, ებრალიძე (მეორე ნახევარში იგი წერეთელმა შეცვალა), მაჩაიძე, ასათიანი, უიფიანი, ბივი და ლეჟავ ნოდეიგი.

გაისმა ავსტრიელი მსაჯის ფრანც ვერერის სასტვენის ხმა და თბილისელები შეტევაზე გადავიდნენ. „დინამო“ კარგა ხანს ფლობდა ინიციატივას, გრგვინავდა მაყურებლით სავსე სტადიონი. ტრიბუნები ქართველი ფეხბურთელებისაგან ბურთის გატანას მოითხოვდნენ. მაგრამ... ბურთი მრგვალიაო და მოხდა ჰირიქით, იშვიათიდან ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს სტუმართა მარცხენა გარემარბმა კოუნტმა უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. თბილისელების შეტევით აბობოქრებული სტადიონი გაირინდა — თითქოს წყალი გადაასხესო... გაშვებულმა ბურთმა თბილისელები არ დააბნია, მათ ახალი ენერგიით შეუტიეს მეტოქის კარს... ბურთის გატანის ნრავალი შესაძლებლობა ეძლევათ დათო უიფიანს, მანუჩარ მაჩაიძეს, კახი ასათიანს, ბურთაზ ხურცილავას, ლევან ნოდიას, მაგრამ მათი დარტყმები უმეტესად არაზუსტია, ზოგჯერ კი მეკარე თამაშობს თავგამოდებით.

შესვენების შემდეგ თბილისელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მოწინააღმდეგის კარს ერთდროულად ლამის 8-9 კაცი უტევს, გატანილი ბურთი კი არა და არა ჩანს. ბოლოს მაინც მოსწყდა ტაში ტრიბუნებს — 71-ე წუთზე ასათიანმა უიფიანის გადაცემის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა. პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. უეფა-ს თასის მეოთხედფინალში მოთამაშის სახელი ლონდონში გადაწყდება 12 დეკემბერს. რა თქმა უნდა, თბილისელებს მეტოქის მოედანზე დიდი ბრძოლა მოუხდებათ, მაგრამ თუ ისინი გამარჯვებისათვის ისეთივე მონდომებით იბრძოლებენ, როგორც თბილისის მატჩში და ბედიც აღარ უმუხთლებთ, მაშინ ბურთის სიმრგვალეს აღარაფერი დაბრალდება...

მატჩის შემდეგ „ტოტენჰემის“ უფროსმა მწვრთნელმა ბილ ნიკოლსონმა ქართველ ფეხბურთელთა თამაშის გამო თქვა — „დინამო“ საერთაშორისო კლასის გუნდი ყოფილა, ძალიან მომეწონაო ასათიანი, ხურცილავა, მაჩაიძე და გივი ნოდია...

თბილისელთა მწვრთნელმა ალექსანდრე კოტრიკაძემ კი დაუფარავად განაცხადა — თამაშის შედეგით კმაყოფილი არა ვარ, ჩვენ ბურთის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი დავკარგეთ, ზოგჯერ ცოდავდნენ მოთამაშეები, ზოგჯერ კი, უბრალოდ, ბედი არა გვწყალობდა. შეკითხვაზე, ლონდონში რა იმედებით მიემგზავრებით, მწვრთნელმა გვიპასუხა: — ვეცდებით წარმატებას სწორედ იქ მივაღწიოთ, ინგლისელებს ლამაზი ფეხბურთი ვუჩვენოთ...



შეტევაზეა მანუჩარ მაჩაიძე

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი



არსენ მეკოკიშვილი, გივი ქარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, დავით ცომაკურიძე, ვასილ ილურიძე, გიორგი სხირტლაძე, მირიან ცალქალამანიძე, რომან რურუა, ვლადიმერ რუბაშვილი, შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი... კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება... სად გაზრდილა საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს თუ ოლიმპიურ ასპარეზობათა ამდენი ჩემპიონი! ამ ბეჭდაუდებელ ვაჟკაცთა შორის განსხვავებული ადგილი ეკუთვნის გურამ სალარაძეს...

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ორჯერ უძლიერესი მსოფლიოში, სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობათა ჩემპიონი და.. ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა...

ჭიდაობა საღარაძეების გვარს, რომ იტყვიან, ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. გურამის მამა თავის დროზე კარგი ფალავანი ყოფილა, ბიძა ოთარაც კი იმ აშვიათ ვაჟკაცებს განეკუთვნება, რომლებზეც ამბობენ — მაგაზე ღონიერი მოჭიდავე მსოფლიოში არ ყოფილაო. ის თავის დროზე თვითონ არსენ მეკოკიშვილსაც არ უდებდა ტოლს.

...პატარა გურამიც ოცნებობდა ფალავნობაზე, დედა კი ვერ იმეტებდა თავის ერთადერთ ვაჟს ხალიჩაზე საგრარად, ვაითუ რამე იტკინოსო; ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ გურამი ფალავანთა კლუბში მოგვიანებით — 16 წლისა მივიდა. — თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, მარტო ღონეს ნუ მიენდობი, ჭიდაობის თავი და თავი ხერხია, — უთხრა გამოცდილმა აღმზრდელმა შალვა ნოზაძემ პატარა ფალავანს და იქვე დასძინა — ნურც მარცხი დაგწყვეტს გულს, მჯობნის მჯობნი არ დაილევა, მთავარია იჭიდაო ლამაზად.

გურამს ჭიდაობა ტრფიალად ექცა. დიდი ფალავანი რომ გვეზრდებოდა, სპორტის მოყვარულებმა პირველად 1961 წელს ვიგრძენით. საბჭოთა კავშირში ხტუმრად ჩამოვიდნენ ირანელი მოჭიდავეები, რომელთა შორის ბევრი იყო მსოფლიოს სახელის მჭონე სპორტსმენი. უველაზე ძლიერი კი მაინც მსოფლიოს და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი, ლეგენდარული ჰაბიბი გახლდათ. ჰაბიბმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ჩვენი ფალავნები და ბოლოს საქართველოს ცირკის სარბიელზე გურამ სალარაძეს შეხვდა. გულახდილად რომ ვთქვათ, მაშინ გურამისაგან გამარჯვებას არავინ ელოდა. ერთი სურვილი გვქონდა — ღირსეულად ეჭიდავა, წმინდად არ წაეგო.

დაიწყო ჭიდაობა... პირველსავე წუთზე სალარაძემ მოწინააღმდეგეს ილეთი ჩაუტარა და ქულა მოიპოვა. ჰაბიბი განრისხდა, შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ერთიანად დაკუნთულ 22 წლის ქერათმიან მოწინააღმდეგეს. მეტიც, ირანელი კვლავ წამოეგო გურამის ფანდს და კიდევ ერთი ქულა დათმო.

შეხვედრა დამთავრდა. მსაჯებმა ერთხმულად მიანიჭეს გამარჯვება ქართველ სპორტსმენს. ჰაბიბმა ცრემლმორეულმა დატოვა ხალიჩა, არ იყო წაგებას ჩვეული... გურამი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ჩვენი საშშობლოს სახელი უნდა დაეცვა ამ წონაში, რომელშიც ფახტანგ ბალავაძე გამოდიოდა, ხალიჩაზე უნდა შეხვედროდა გარსევან ნებიერიძეს, მიხეილ ბეკმურზოვს, იმამალი ჰაბიბს, ისმაილ ოგანს, პეტკო დემერჯიევს... ძნელი, ძალიან ძნელი იყო მათი დამარცხება, მაგრამ გამარჯვების ზეიმიც ხომ მაშინ არის სრულფასოვანი, როცა უძლიერესთა შორის უძლიერესებს დაჭაბნი და გურამმაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა მოწინააღმდეგეები ბულგარეთში 1963 წელს გამართულ მსოფლიო პირველობაზე. ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა შორის დარჩა მხოლოდ ერთი, ბულგარელი დემერჯიევი. იცოდა, თუ აქაც ამარჯვებდა, მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. ფინალურ ასპარეზობას მრავალი ათასი მაყურებელი დაესწრო. ბულგარელი გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, გამარჯვებას თავიანთი თანამემამულისაგან მოითხოვდნენ, მაგრამ ქართველმა ფალავანმა ისეთი გამძაფრებით შეუტია მეტოქეს, რომ იგი რაღაც ხასწაულით გადაურჩა წმინდა წაგებას. ვახტანგ ბალავაძეს მართლაც რომ ღირსეული შემცვლელი ჰყავს — ერთხმად აღნიშნეს ჭიდაობის სპეციალისტებმა თუ უურნალისტებმა.

ამის შემდეგ გურამმა ხუთი წელიწადი დაჰყო საჭიდაო ხალიჩაზე და, როგორც აღვნიშნეთ, მრავალ წარმატებას მიაღწია...

— იქნებ ნაადრევი იყო დიდი სპორტიდან შენი წასვლა? — ვეკითხები გურამს. — შეიძლება, მაგრამ ესე სჯობდა, ოჯახი, ინსტიტუტი ცოტა დროს როდი მოითხოვდა, მე კი არ შემეძლო. არც მინდოდა სადმე სანახევროდ ვყოფილიყავი, სარბიელი ახალგაზრდებს დავუთმე. აკი სახსხელოდ გაიგრძელა ჩემი საქმე შახმურადოვმა, შემდეგ კი ლევან თედიაშვილიც გამოჩნდა და ერთი თავით მაღლა დადგა უველა ფალავანზე...

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ინუინერი გურამ სალარაძე შრომაშიც სამაგალითო იყო. ცოტა ხნის წინათ კი საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელად მიიწვიეს... არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, იცოდნენ, თავდაჭრილი, დინჯი და სახელმოხვეჭილი ფალავანი ადვილად იპოვიდა გზას ალაზრდელთა გულისპკენ, გადასცემდა მათ მდიდარ გამოცდილებას.

ვარაუდი გამართლდა. წლეულს სსრ კავშირის თასის გათამაშებაზე, რომელიც ამავე დროს ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობაც არის, საქართველოს ფალავნებმა მეორე ადგილი დაიკაუთრეს. ეს შარშან მოპოვებულ მეოთხე ადგილთან შედარებით ურიგო როდია, მაგრამ სპორტის მოყვარულთა სურვილია ჩვენი მოჭიდავეები უძლიერესთა შორის უძლიერესნი იყვნენ. ეხლოდენ კატეგორიულ მოთხოვნა შემთხვევითი არ არის — საქართველოს ხომ ფალავანთა სამშობლოს უწოდებენ და ამ ხახელს გაფრთხილება უნდა!

ეი რატომ არის დღეს გურამ სალარაძე დაფიქრებული, რატომ ეძებს დაუნებენ გზებს. რომლებიც უმაღლეს ჯვარცმლებაზე ვიყვანენ ჩვენს მოჭიდავეებს.

გვჯერა, გურამი გაამართლებს იმედებს, იგი ისეთივე ხახელოვანი მწვრთნელი იქნება, როგორი ფალავანიც იყო.

რევაზ მაჭავარიანი

სოჭში დამთავრდა საკავშირო პირველობა სოფლის ძალოსანთა შორის. წარმატებით გამოვიდა სელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნე, 28 წლის სპორტის ოსტატი ავთანდილ ოსანაძე, რომელმაც პირველობა მოიპოვა ქვემსუბუქ წონაში.

• • •

პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საკავშირო საბჭომ წლეულს პირველად მოაწყო ფინალური შეჯიბრება ძალოსნობაში. 8 უძლიერეს კოლექტივს, რომლებმაც ზონალურ შეჯიბრებაში მოიპოვეს ფინალური ასპარეზობის სიუხვე, ტაგანროგი მასპინძლობდა. ქვეყნის რჩეულ ძალოსანთა შორის მონაწილეობდა „განთიადის“ ნაკრები გუნდიც.

საქართველოს წარგზავნილებმა კარგად იასპარეზეს და გუნდურ პირველობასთან ერთად სსრ კავშირის პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა პირველი ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

• • •

ჭენევაში დიდი წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, რომელიც მიწვეული იყო ჭენევის ტანვარჯიშის ასოციაციის 100 წლისთავის დღესასწაულზე.

ათასობით მაყურებელი მქუხარე ტაშით ხვდებოდა ლიუდმილა ტურიშჩევას, რუსუდან სიხარულიძის, ლიუბოვ ბურდას, ანჯონინა კოშელის, ლიუბოვ ბოგდანოვას, სვეტლანა გრომოდოვას, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ კლიმენკოსა და სსრ კავშირის თასის მფლობელის პაატა შამუგიას გამოსვლებს.

• • •

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრებმა გუნდმა თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკაუთრა. ქართველ ფალავანთა ეს მიღწევა, რა თქმა უნდა, საპატიოა, მაგრამ ჭიდაობის მოყვარულთ მაინც გული დასწყდათ, ვერცხლს თჭრო ერჩიათ, და ეი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა „მარცხი“ კლასიკოსებმა გამოასწორეს. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა პირველად ჭართული სპორტის ისტორიაში სსრ კავშირის ბროლის თასი თბილისში ჩამოიტანეს. გუნდის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რომან რურუამ ჩელიაბინსკში უძლიერესთა შორის უძლიერესნი წაიყვანა. — ჩვენი ბიჭები მზად არიან ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან საასპარეზოდ. — განაცხადა წასვლის წინ ფალავანთა აღმზრდელმა და ნათქვამი საქმით დაამტკიცა. ჭერ იყო და, საქართველოს მოჭიდავეებმა დამაჯერებლად სძლიეს შარშანდელი თასის მფლობელი რუსეთის ფედერაციის გუნდი (35,5:24,5), შემდეგ აჯობეს უკრაინელებს (43,5:28,5) და ფინალში უაზახეთის ძლიერ კოლექტივს შეხვდნენ. შთამბეჭდავი იყო ფინალში მოპოვებული გამარჯვებაც—64:20. ბარაქალა, ბიჭებო!

• • •

მახარაძეში მოეწყო სამონადირო ფრინველთა მეხუთე რესპუბლიკური პირველობა. რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის, მახარაძის, ჩოხატაურის, ფოთის, სამტრედიის რაიონების გაზიერები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მეხუთედ მიიკუთვნა ჩოხატაურის რაიონის მონადირეთა საზოგადოების გუნდმა. მეორე — აჭარის მესამე კი—მახარაძის მონადირეთა გუნდებს.

სპორტული ქრონიკა

რის თასის გათამაშებაში მეორე

ქართველობა გველო ხიდად

(დასასრული).

— დავიბადე 1929 წელს, ვიზრდებოდი და ვსწავლობდი გორში, სადაც მამაჩემი ვლადიმერი ქიმ-თერაპევტად მუშაობდა. 1965 წელს გარდამიცვალა. დედა — ანა ივანეს ასული ფერაძე-ნადირაშვილი მოსე თოიძის მოწაფე იყო. გახლდათ ერთ-ერთი თაოსანი გორში პირველი სამხატვრო სასწავლებლის დაარსებისა. გორში საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, ლენინგრადის II სამედიცინო ინსტიტუტში განვაგრძე სწავლა. მერე ლატვიაში განმაწესეს. 1958 წელს ლენინგრადშივე დავბრუნდი პასტერის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დავამთავრე ასპირანტურა და დამნიშნეს უმცროსი მეცნიერ მუშაკად.

1963-1967 წლებში ვმუშაობდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით ჟენევაში, ვირუსოლოგ-ექსპერტად.

— თანამემამულე თუ შეგხვედრიათ ჟენევაში?

— მილანში შემთხვევით გავიცანი ქალბატონი სონია ბონო (ქმრის გვარია). ლასკალაში ასწავლიდა სიმღერას. ძალიან ტკბილი ადამიანი იყო, გულისხმიერი და სათნო მოხუცი, ომის დროს თურმე პარტიზანებს ეხმარებოდა, ჩვენებს, ქართველებს განსაკუთრებით ვუყვარდიო, მაშინ, როცა ჩემს სახლზე გაკრული იყოფა ბრძანება, რომლითაც პარტიზანის დამმალავს დახვრიტა ემუქრებოდათ. ქართულ სიმღერებს უკრავდა ბრწყინვალედ. ერთხელ ჟენევაშიც კი დამპირდა — ჩამოდი და ისეთ ხაჭაპურებს გაჭმევ, საქართველოშიც ვერ იგემებო. ჩავედი კიდეც. ისეთი ქართული სუფრა გამიწყო, რომ გორში ჩემი დის გაწყობილ სუფრას არ ჩამოუვარდებოდა.

— სხვა თუ გინახავთ ჟენევში?

— ბრიუსელში ჩასვლის წინ ამხანაგებმა მთხოვეს დამერეკა არჩილ ჯოხაძისათვის, რომელსაც „ბორჯომის“ წყლის შეძენის საკითხი აინტერესებდა. დავიწყე ტელეფონების წიგნის ფურცვლა და წავაწყდი წერეთელს: „ბოდიში, ქართულ გვარს წავაწყდი და იმიტომ დავირეკეთ. ხომ არ იცით, არჩილ ჯოხაძეს როგორ დავურეკო“. დიდად გაიოცა — ქართველი ქალი ბელგიაში როგორ მოხვდითო. არჩილ ჯოხაძეც ვნახე, იმანაც გაიკვირვა — ქართველებს უცხოეთში უშვებენო?

— თბილად თუ შეხვდით ერთმანეთს?

— არ ვიცი, ვინ იყო არჩილ ჯოხაძე, როგორ მოხვდა უცხოეთში. გავიგე, რომ გარდაცვლილა და ძალიან მეწყინა... შეხვედრა კი ნამდვილი ქართველური, ახლობლური გვქონდა.

— უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ როგორ წავიდა თქვენი საქმე?

— ქვლავ ლენინგრადს მოვუბრუნდი, ჩემს ინსტიტუტს. შემიღეს როგორც ოჯახის წევრი. დისერტაციის დაცვის შემდეგ უთუროს მეცნიერ მუშაკად დამნიშნეს, მერე, 1971 წლის 14 ივნისს ზემდგომ ორგანოებში დამიბარეს მოსკოვში და მითხრეს — ინსტიტუტის დირექტორად უნდა დაგნიშნოთო, ქოლექტივს უნდაო. ვიფიქრე, იქ იმდენი აკადემიკოსი და პროფესორია, რომ მე ეხერხულად ვგრძნობ-მეთქი თავს. უარი არ გამომითქვამს.

— რამდენი ქალი მუშაობს თქვენს ინსტიტუტში?

— 500...

ქიდევ ბევრის თქმა მინდოდა ლენინგრადში მცხოვრებ ფერაძეზე, მის ხვედრზე, მის აწმყოსა და მომავალზე, რომ ფერაძისთანები ჩვენს საბჭოეთში ბევრნი არიან, რომ ქართველობა დიდ საბჭოთა ქალწირში ხელს არაფერში გვიშლის, პირიქითაც ხდება ხოლმე, მაგრამ თავი შეკავებული, რადგან ჩვენი თანამემამულე „სამშობლოს“ ნაღდი მკითხველი იყო და ისედაც კარგად იცოდა მის ფურცლებზე გამოთქმული საბჭოთა თანასწორობის ამბები. ეს კი ვუთხარი.

— თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რა უფლებებითა და თანასწორობით სარგებლობენ ქართველები უცხოეთში, საფრანგეთსა თუ იტალიაში, თურქეთსა თუ ირანში, ინგლისსა თუ ამერიკაში... ჩვენთან კი, საბჭოეთში, ქართველი ყველგან თანასწორია, შინ მცხოვრებია, მოსკოვსა თუ ლენინგრადში, კიევსა თუ მინსკში, ბალტიისპირეთსა თუ შუა აზიის რესპუბლიკებში; ყველგან, ამ დიდი სამშობლოს ყველა კუთხეში, თავს ისე ვგრძნობთ, როგორადაც დედა-საქართველოში. ეს არც ლოზუნგია, არც პროპაგანდა, არამედ ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ ქართველი ერი მშრომელია, ნიჭიერია, გამრჯე და ზვიადიც, რომ ამ სიზვიადეს საფუძველი აქვს ბუნებით, წარსულით, აწმყოთი, მომავლით, ზურმუხტით, ვენახით, ტყითა და მთა-ბარით...

ერთ თქვენებურ თანამემამულეს უთქვამს — „სამშობლოს“ საგანგებოდ არ ვკითხულობო. ნუ წაიკითხავს, ის არც მეგობარია და არც ამხანაგია ჩემი, მაგრამ მე მაინც მოკრძალებით გავუწვდი ხელს გასაჭირის ჟამს, ანუ ყოველთვის, რამეთუ მისი სიცოცხლე მუდამჟამს მოკამათეა უმამულობით, უსაქართველოდ და უსამშობლოდ. მე მას ჩემად ვთვლი როგორც ქართველს, სისხლ-ხორცს, როგორც გზას აცდენილ უფროს ძაცს, რომელსაც ოჯახის კარი მიუტოვებია ახირებით, სიჯიუტით, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გაუგებრობით, ბოღმით, თვალისჩინს რომ წაართმევს ხოლმე ადამის ძეს... ჩემად ვთვლი, მაგრამ მეგობრად ან ამხანაგად არც ვიგულებ და მისგანაც არ ვინდომებ ამ ორი წმინდა სიტყვით მოკრძალულ დასტურს...

კვლავაც არ იყო ჩართული სინათლე ჩვენს ოთახში, საქართველოს სიყვარული ენთო ადრინდებულად, ის გვინათებდა სულსაც და გულსაც. დავდუმდით ორივე და ამ დუმილით დავთათანებდით ჩვენს საქართველოს, დიდებულ წარსულს, მერე დაკნინებას, აღმავლობას, თებერვლისეულ დიდ დასაწყისს; ხალხის მძლეობას, აღმასვლას, აღზევებას, აყვავებას, ძმათა-ძმობას, ერთობასა და დიდ, ძალიან დიდ სიყვარულს, რომელსაც გულით ატარებს ყველა ქართველი თავისი ერის, თავისი ნათელი ქვეყნის, თავისი სამშობლოს საბჭოეთიროდ და სასიკეთოდ. ამას ვიფიქრობდი მე, ისა?! ალბათ არც ის იყო ჩემგან შორს, ძალიან შორს მაინც არ იქნებოდა, თუმც კი სხვადასხვა თუძეზე ვიდექით, სხვადასხვა მიწას ვეჯრდნობოდით — მე ქართულს, ის...

— თუ საჭიროდ სცნოთ, თქვით ჩემი გვარი და სახელი, თქვით სახალხოდ, თქვით, რომ მე სიცოცხლე ამაოდ დავხარჯე, რომ ამაოდ დავიშრიტე საქართველოს სიყვარულით გაუხარელი...

ვინ იყო?!

დაე, ჩვენს შორის, ორთა შორის დარჩეს მისი სახელი, საქართველოს სიყვარულში უგზო-უკვლოდ მიმალული მისი სახელი.

დავით ანდღულაძე



ქართულმა და მთელმა საბჭოთა მუსიკალურ-თეატრალურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალი და გამოჩენილი პედაგოგი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრის გამგე, პროფესორი დავით იასონის ძე ანდღულაძე.

დ. ანდღულაძე დაიბადა 1895 წელს ოზურგეთის მაზრის (ამჟამად მახარაძის რაიონის) სოფელ ბახვში. 1914 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა წვლებელი, ხოლო 1915-1921 წლებში სამხედრო სამსახურში იყო გაწვეულებული.

1921 წელს ბათუმში ცნობილმა მომღერალმა და პედაგოგმა ე. ვრონსკიმ აღმოაჩინა უნიკალური ხმით დაჯილდოებული ახალგაზრდა დ. ანდღულაძე და იგი თავის ვოკალურ სტუდიაში ჩარიცხა. 1924 წელს კი დ. ანდღულაძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (კვლავ პროფესორ ე. ვრონსკის ხელმძღვანელობით), რომელიც 1927 წელს დაამთავრა.

დ. ანდღულაძის დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრება 1926 წლიდან დაიწყო, როდესაც მან, საოპერო სტუდიაში ყოფნისას, შეასრულა კანოს პარტია ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში“. უკვე მაშინ ერთ-ერთი რეცენზენტი დ. ანდღულაძის შესახებ წერდა: „მისი ხმა ძლიერი და განსაკუთრებით მოქნილია, ხან რბილი და სევდიანი, ხან ჭარიშხალივით მოვარდნილი, მაგრამ მუდამ გამომსახველი და თბილი“.

1926 წლის 12 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე შედგა დ. ანდღულაძის ბრწყინვალე დებიუტი ვერდის ოპერა „ბალმასკარადში“. დ. ანდღულაძის მძლავრმა, კეთილშობილმა და მგზნებარე დრამატულმა ტენორმა ქართველ ხალხს აუწყა ეროვნული საოპერო ხელოვნების ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავის ამობრწყინება.

1927 წელს კი დ. ანდღულაძემ თბილისის საოპერო სცენაზე შეასრულა რადამესის (ვერდის „აიდა“), კავარადოსისა (პუჩინის „ტოსკა“) და აბესალომის (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“) პარტიები. ეს მოხდა შემოქმედებითი ცხოვრების პირველსავე წელს, რაც ნამდვილად განსაცვიფრებელი ფაქტია და თვალსაჩინოდ მეტყველებდა დ. ანდღულაძის მოზღვავებულ შემოქმედებით ენერგიასა და ნიჭის მასშტაბებზე.

1927-1929 წლებში დ. ანდღულაძე მოსკოვის სტანისლავსკის თეატრალურ სტუდიაშია. დიდ რეჟისორ კ. სტანისლავსკისთან შემოქმედებითი ურთიერთობა უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართველი მომღერლისათვის. აქ შეისწავლა და განასახიერა დ. ანდღულაძემ ლენსკის (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე“), ცრუ დიმიტრის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), რუდოლფის (პუჩინის „ბოჰემა“) პარტიები. აქვე დაიწყო მან მუშაობა გერმანის (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“) რთულ ფსიქოლოგიურ სახეზე, რომლის შესანიშნავ შემსრულებლადაც დ. ანდღულაძე აღიარებული იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

1929 წლიდან დ. ანდღულაძე კვლავ თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწეობს და ამდიდრებს თავის რეპერტუარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული დონ-ხოზეს პარტია ბიზეს „კარმენში“. 1933-1935 წლებში დ. ანდღულაძე მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. ორი სეზონის მანძილზე მის მხრებზე გადადიოდა ამ დიდი მუსიკალური ტრადიციების საოპერო თეატრის რეპერტუარი. მოსკოვის სცენაზე განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა მან რაულის ურთულესი პარტია მეიერბერის „ჰუგენოტებში“, რომელიც საგანგებოდ დ. ანდღულაძისათვის დაიდგა.

1937 წელს დ. ანდღულაძემ თავი ისახელა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. იგი ამ დიდი ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. დეკადაზე მან უდიდესი წარმატებით შეასრულა აბესალომის პარტია, რომელიც მან მოამზადა შესანიშნავი ქართველი დირიჟორის ე. მიქელაძის მუსიკალური ხელმძღვანელობით.

განუზომელია დ. ანდღულაძის ღვაწლი ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარების საქმეში. იგი მღეროდა მალხაზის პარტიას ზ. ფალიაშვილის „დაისში“, შოთას—დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველში“, დ. ანდღულაძის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა და დაიდგა ახალი ქართული საბჭოთა ოპერები ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, ალ. მაჭავარიანის „დედა და შვილი“, ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, შ. აზმაიფარაშვილის „ბევრისბერი გოჩა“, ხოლო 1947 წელს შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“ ტარიელის პარტიის ბრწყინვალე შესრულებისათვის დ. ანდღულაძეს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დ. ანდღულაძის დიდ დამსახურებად ისიც ითვლება, რომ იგი ხელს უწყობდა თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარის გამდიდრებას რუსული საბჭოთა ოპერებით, განასახიერებდა რევოლუციური ეპოქის ადამიანებს ფემელიდის „რღვევაში“, ძერჟინსკის „წყნარ დონში“ და ჩიშკოს „ჯავშნოსან პოტიომკინში“.

თითქმის ოთხ ათეულ წელს ამშვენებდა დ. ანდღულაძე ქართული საოპერო თეატრის სცენას. 1953 წელს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ერთ-ერთი სპექტაკლის დროს დ. ანდღულაძე მძიმედ დაშავდა. ეს ტრავმა საბედისწერო აღმოჩნდა. იგი თავისდაუნებურად გამოეთხოვა სცენას. ძალზე შესამჩნევი იყო მისი წასვლა არტისტული სარბიელიდან, მაგრამ მშობლიური თეატრის სცენაზე დ. ანდღულაძის გმირების მღელვარე ცხოვრება განაგრძეს მისავე ნიჭიერმა მოწაფეებმა. დ. ანდღულაძემ კი მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და მდიდარი გამოცდილება პედაგოგიურ მოღვაწეობას მოახმარა, რომელიც 1946 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გრძელდებოდა. 1968 წლიდან დ. ანდღულაძე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრის გამგე იყო. პროფესორმა დ. ანდღულაძემ მთელი სკოლა შექმნა და მომღერალთა რამდენიმე თაობა აღზარდა. დღეს მისი მოწაფეები ქართული საოპერო თეატრის აქტიური შემოქმედებითს ძალას წარმოადგენენ. მათ შორის მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს დ. ანდღულაძის მზრუნველი ხელმძღვანელობით აღზრდილმა მომღერლებმა სსრკ სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ნ. ანდღულაძემ და ზ. სოტკილავამ.

დ. ანდღულაძე იყო სკკპ წევრი 1946 წლიდან. 1939 წელს იგი არჩეული იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1945-1949 წლებში დ. ანდღულაძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

დ. ანდღულაძის ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. 1941 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, 1950 წელს კი იგი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახდა. დ. ანდღულაძე ორგზის იყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“. ამ ცოტა ხნის წინათ კი დ. ანდღულაძის მრავალმხრივი ვოკალურ-საშემსრულებლო და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა.

დ. ანდღულაძის — შესანიშნავი ქართველი მომღერლისა და პედაგოგის სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საბჭოთა მუსიკალურ-თეატრალური კულტურის ისტორიაში. ამ უმწიკვლო და კეთილშობილი ადამიანის ნათელი სახე სამუდამოდ არის აღბეჭდილი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების, მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება; საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66482 ფასი 5 კაპ.